აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№85 (24.965) ხუთშაბათი, 11 - 12 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

თორნიკე რიჟვაძე ინეგოლში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ინეგოლის ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის წევრებს შეხვდა

შეხვედრაზე საუბარი შეეხო თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუშაჯირებთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს, რაც განსაკუთრებით კულტურის და განათლების სფეროს მოიცავს. განიხილეს კულტურული პროგრამები, ერთობლივი ღონისძიებები და პროექტები. თორნიკე რიჟვაძემ შეხვედრისას აღნიშნა, რომ მომავალი თაობებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცვლა და საქართველოსთან კავშირის კიდევ უფრო გაღრმავება.

თურქეთში მცხოვრები „ჩვენებურები“ აჭარას რამდენიმე დღეა სტუმრობენ. ისინი ბეშუმში, „შუამთობის“ დღესასწაულსაც დაესწრნენ. დელეგაციას ინეგოლის მერის მოადგილე რიდვან ქოჩააღა ხელმძღვანელობს.

მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრას ინეგოლის ქართული საზოგადოების ხელმძღვანელი, მარმარის რეგიონის ქართული ფედერაციის თავმჯდომარე და ინეგოლის საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე.

ინეგოლში ქართველებით დასახლებული 18 სოფელია.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

ახალი ბაღი შენდება

მეზღვაურთა ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში შენდება 300-მდე ბავშვზე გათვლილი ორსართულიანი შენობა. მოეწყობა ეზო, ახალი სპორტული მოედანი, საპარკინგე სივრცე, დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები, რისთვისაც 3 მილიონ 475 ათასი ლარია გათვალისწინებული.

ამ ეტაპისთვის დასრულებულია საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს პირველი სართულის გადახურვა. მშენებლობა დეკემბერში უნდა დასრულდეს.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე და საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე გაეცნენ.

წელს ბათუმში 4 საბავშვო ბაღი შევა ექსპლუატაციაში, რისთვისაც ჯამში, 9 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

ანკა ჩხიკვაძე

კრიალოსა N იუსი

თეორიულად შესაძლებელია ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესზე ოდესღაც ვიმსჯელოთ, მაგ-

რამ დღეს ეს საკითხი არ განიხილება, - აღნიშნული განცხადება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა გააკეთა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გუნდში ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესთან დაკავშირებით რაიმე სახის საკანონმდებლო ცვლილებაზე საუბარი არ მიმდინარეობს.

* * *

საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ჟულიენ კრამპსი და აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური ოფიცრები ლანა ოუენი და ევან ელიოტი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. უცხოელმა დიპლომატებმა „მოქალაქეების“, „ლელოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერებთან ცალ-ცალკე ისაუბრეს ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაზე.

* * *

სპეციალური საგამოძიებო სამსახური მანდატის გაფართოებას ითხოვს. შესაბამისი წინადადება სამსახურის უფროსის მოადგილე ნათია სონღულაშვილმა პარლამენტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარმოადგინა. „სამსახურს იმ საქმეებზე, რომლებზეც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მინისტრთა კომიტეტი ხელახალი გამოძიების ვალდებულებას დააკისრებს, უნდა გაეზარდოს საგამოძიებო უფლებამოსილება და ეს არ იქნება რომელიმე კონკრეტული მუხლით შემოფარგლული - ნებისმიერი კონვენციური მუხლის გამოძიების ვალდებულება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს უნდა გადმოეცეს“, - აღნიშნა მან.

* * *

სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპული ან მძიმედ დაშავებული ჯარისკაცების შვილები სასწავლო გრანტით ისარგებლებენ. ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, საქართველოს თავდაცვის ძალებში მოსამსახურე პირები, მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები, დაჭრილი და დაშავებული სამხედროები და მათი ოჯახის წევრები საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სამედიცინო დაწესებულებებში სხვადასხვა პრივილეგიითა და შეღავათით სარგებლობენ.

მოამზადა ია შველიძემ

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება გაზარდა

2

აჭარაში ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია

4

უკრაინის გამარჯვება იქნება რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების დასასრულის დასაწყისი

3

საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია

7

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველი სხდომა

გუშინ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალმა შემადგენლობამ პირველი სხდომა გამართა. საბჭოს თავმჯდომარე ნატალია ზოიძემ წევრებს გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი სამოქმედო გეგმა და დებულება გააცნო

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები გიორგი ჩარკვიანი და თამარ ოგანოვა, რომლებმაც გენდერული მეინსტრიმინგის კვლევის ფარგლებში ადგილზე გამოკითხეს სხდომის მონაწილეები. აღნიშნული კვლევით შემდგომში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ადგილობრივი პოლიტიკა შეფასდება.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულოს სათათბირო- საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე დისკრიმინაციის პრევენციის, გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო 33 წევრს აერთიანებს, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის, საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს.

ანკა ჩხიკვაძე

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება გაზარდა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში რეგისტრირებულ მოქალაქეებს ღვიძლის ტრანსპლანტაციის სამედიცინო მომსახურება აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 80 000 ლარით უფინანსდებათ, დამატებით 30 ათას ლარს ქალაქ ბათუმის მერია გამოყოფს, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამინისტრო 110 000 ლარს გასცემს

აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე, „ევექსის“ ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში, კლინიკის ხელმძღვანელებთან და ტრანსპლანტოლოგიის გუნდთან ერთად, იმ პაციენტებს შეხვდა, რომლებმაც ღვიძლი სამინისტროს თანადაფინანსებით გადაინერგეს. შეხვედრას დონორებიც ესწრებოდნენ.

- ძალიან ემოციური და შთამბეჭდავი შეხვედრა შედგა პაციენტებთან, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენიმე წლის, ან თვის წინ კრიტიკული იყო და დღეს ისინი ცხოვრებას სრულფასოვნად აგრძელებენ. სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით და რეფერალური საავადმყოფოს პროფესიონალი ექიმების ძალისხმევით, დღეს ჩვენ არაერთი ადამიანის გადარჩენილი სიცოცხლე ვიხილეთ. აჭარაში ტრანსპლანტოლოგიას სათავეში ბატონი კახა ქაშიბაძე უდგას და მინდა მას, მთელ გუნდთან ერთად, მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო. ძალიან დიდი კომფორტია პაციენტისთვის, როცა რეგიონიდან გაუსვლელად შეუძლია მიიღოს ასეთი მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, - აღნიშნა მარი ზანაქიძემ.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ღვიძლის ტრანსპლანტაციას 2016 წლიდან აფინანსებს. დღემდე მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 34 პაციენტს ჩაუტარდა, გამოყოფილი თანხა 2 150 ათას ლარს შეადგენს.

- მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო და საკმაოდ რთული პერიოდი გავიარე, დღეს თითქმის აღარაფერი მახსოვს, ცხოვრებას ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებ და პერიოდულად გეგმურ კვლევებს ვიტარებ, - განაცხადა ტატიანა მეგრელიშვილმა, რომელმაც ღვიძლის ტრანსპლანტაცია 8 წლის წინ გაიკეთა.

- ღვიძლი ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გასულ წელს გადავინერგე, ვიდრე ამ კლინიკაში მოვხვდებოდი, სხვადასხვა სახის მკურნალობა არაერთ სამედიცინო დაწესებულებაში ჩავიტარე. სწორი დიაგნოზი აქ დამისვეს, ვანდე ჩემი სიცოცხლე ამ კლინიკის ექიმებს და დღეს თავს კარგად ვგრძნობ. ოპერაცია 70 %-ით აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ დააფინანსა, 30 ათასი ლარი ბათუმის მერიამ გამომიყო, ჯამში სახელმწიფო 100 000 ლარით დამეხმარა, რაც ჩემთვის ძალიან დიდი შეღავათი იყო, - აღნიშნა მარინა ცინცაძემ.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აგრძელებს ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას. მიმდინარე წელს პროგრამით ორმა ბენეფიციარმა უკვე ისარგებლა.

აქვთ თუ არა მუშახელის დეფიციტი თხილის მწარმოებლებს?

პანდემიის შემდეგ ყველა სექტორს სამუშაო ძალის დეფიციტი შეექმნა. თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე მერაბ ჭითანავამ „ბიზნესპრესნიუსთან“ განაცხადა, რომ სეზონის დასაწყისში პრობლემა მათთვისაც აქტუალური იყო, თუმცა ამ ეტაპზე საკითხი მწვავედ აღარ დგას. მეტიც, თუ შარშან დღიური ანაზღაურება 60-70 ლარი იყო, წელს 50 ლარს არ აღემატება.

„ძალიან ცუდი ტენდენცია იყო სეზონის დასაწყისში, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ასოციაციის აქტიური კამპანიით 50 ლარზე ზემოთ დღიური გამომუშავების ფასი არ ასულა. ეს მეტ-ნაკლებად ნორმალურია, მით უფრო, რომ იყო მოთხოვნა, შარშანდელივით 60-70 ლარი გადაეხადათ ფერმერებს. ეს ძალიან მაღალი ფასია და, უბრალოდ, ვერ აიტანდა თხილის სექტორი. ახლა მწვავედ არ დგას დეფიციტი.

ვიცი, რომ ასოციაციის წევრი 5-6 ათასი ოჯახი თავადაა თხილის კრეფაში აქტიურად ჩართული საკუთარი საოჯახო რესურსით. ვცდილობთ, ხელით მოვაგროვოთ და ეს საჭირო მუშახელის რაოდენობას ამცირებს და იმედია, მნიშვნელოვანი გართულებების გარეშე ჩავივლით. ეს გამოჩნდება 10 დღეში, როცა ინტენსიურად ყველა დაიწყებს თხილის მოკრეფას“, - აცხადებს ჭითანავა.

ამირან გურიელიძე

ბათუმის მერია წარმატებული სტუდენტებისთვის ახალ პროგრამას ახორციელებს

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

„ტბელ აბუსერისძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ - ბათუმის მერია ახალ პროგრამას ახორციელებს. მისი მიზანი საზღვარგარეთ, უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, სტუდენტის წახალისება და მოტივაციის ამაღლებაა შემდგომი აკადემიური განვითარების მხარდაჭერის მიზნით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საზღვარგარეთ - ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის, იაპონიის, შვეიცარიის, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც საზღვარგარეთ მიმღებ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის, ასევე, განაცხადის შემოტანის მომენტისათვის, რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, 2021 - 2022 სასწავლო წლის მიხედვით, მიღებული აქვს შესაბამისი დებულებით განსაზღვრული დადებითი შეფასება.

- ქალაქ ბათუმის მერია წლებია წარმატებით ახორციელებს კონკურსს ლუკა ასათიანის სტიპენდიის გასაცემად, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. წელს კი პირველად, ახალგაზრდების თხოვნით, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა ახალი პროგრამა საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. განცხადებების შემოტანა დაწყებულია. განცხადების შემოტანა იმ ახალგაზრდებს შეუძლიათ, რომლებიც რეგისტრირებულები არიან ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და გააჩნიათ დადებითი შეფასება, - განაცხადა ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა მერაბ ქიძინიძემ.

პროგრამის ფარგლებში, 10 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტი კონკურსის წესით გამოვლინდება. საუკეთესო შედეგების მქონე სტიპენდიატებისთვის განსაზღვრულია ტბელ აბუსერისძის სახელობის სტიპენდია - 3 ათასი ლარის ოდენობით. განცხადებები მიიღება ივლისიდან პირველ ოქტომბრამდე პერიოდში.

უკრაინა

უკრაინელმა სამხედროებმა ქვეყნის სამხრეთით საბრძოლო მასალა და სამეთაურო პუნქტები გაანადგურეს და 35 ოკუპანტის ლიკვიდაცია განახორციელეს, - ამის შესახებ ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ იუწყება. „ჩვენს მიერ მიყენებული 7 საჰაერო დარტყმის შედეგად მტრის ცოცხალი ძალა, იარაღი და აღჭურვილობა განადგურდა ბაშტანსკის, ბერისლავსკის და ხერსონის რაიონებში, ხერსონიდან 40 კილომეტრში კი - 2 სამეთაურო პუნქტი. დღეს, დადასტურდა მტრის დანაკარგი 35 „რაშისტის“ და 6 ერთეული ჯავშანტექნიკის ჩავლით, მათ შორის T-72 ტიპის ერთი ტანკი და ერთი სამეთაურო-საკონტროლო მანქანა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

* * *

ყირიმი არის უკრაინული და ჩვენ არასოდეს დავთმობთ მას. რუსეთმა ჩვენი ნახევარკუნძული, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ადგილად აქცია, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. „არ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ დაიწყო. რუსეთმა ყირიმს მასშტაბური რეპრესიები, ეკოლოგიური პრობლემები, ეკონომიკური უიმედობა და ომი მოუტანა. ისტორიკოსები, ალბათ, ერთ დღესაც დაადგენენ, რამდენი ადამიანი დაიღუპა რუსეთის მიერ ყირიმის ტერორისთვის გამოყენების შედეგად. ათიათასობით? ასიათასობით? უკრაინიდან და საქართველოდან სირიამდე და უფრო შორეულ რეგიონებამდე. ყირიმში რუსი ოკუპანტების ყოფნა საფრთხეა მთელი ევროპისთვის და გლობალური სტაბილურობისთვის. შავი ზღვის რეგიონი ვერ იქნება უსაფრთხო, სანამ ყირიმი ოკუპირებულია“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

შეერთებული შტატები უკრაინას 89 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს, - ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ცნობით, 100 ჯგუფის განთავსებას და წვრთნისა და აღჭურვის მასშტაბური პროექტის განხორციელებას. „უკრაინაში რუსეთის უკანონო და არაპროვოცირებულმა შემდგომმა შეჭრამ ქვეყნის დიდი ნაწილი ნაღმებით, აუფეთქებელი ჭურვებითა და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით დაფარა. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების ისეთი გამოყენება, როგორსაც ჩვენ უკრაინაში რუსი აქტორების მიერ ვხედავთ, ადრე მხოლოდ სირიაში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ იყო დაკავშირებული. ეს ფეთქებადი საფრთხეები ბლოკავს ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომას, აჭიანურებს რეკონსტრუქციის მცდელობებს, ხელს უშლის დევნილების სახლებში დაბრუნებას და აგრძელებს უდანაშაულო უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობასა და დასახიჩრებას“, - აცხადებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში.

* * *

რუსულმა ძალებმა დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონზე ღამით თავდასხმა განახორციელეს, რის შედეგადაც 11 ადამიანი დაიღუპა, - ინფორმაციას უკრაინული მედია დნეპროპეტროვსკის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე, ვალენტინ რეზნიჩენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. „ტრაგიკული ღამე. ნიკოპოლის რაიონში რუსულმა არმიამ 11 ადამიანი მოკლა, დაჭრილია 13 ადამიანი“, - განაცხადა რეზნიჩენკომ. მისი თქმით, 10 ადამიანი ქალაქ მარგანეცში, ერთი კი - მიროვსკაიაში დაიღუპა.

* * *

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ვარაუდით, უკრაინის ოპერაციის მხარდასაჭერად, რუსეთმა სახმელეთო ძალების ახალი ფორმირება, მე-3 არმიის კორპუსი დააფუძნა. მათივე ცნობით, რუსეთი, სავარაუდოდ, გეგმავს მე-3 არმიის კორპუსის დიდი ნაწილი ახლად შექმნილი „მოხალისე“ ბატალიონებიდან შეავსოს. „რუსმა პოლიტიკოსებმა დაადასტურეს, რომ მე-3 არმიის კორპუსის პოტენციურ ახალწვეულებს უკრაინაში განლაგების სანაცვლოდ ფულად ჯილდოს სთავაზობენ. რუსული არმიის კორპუსი, როგორც წესი, შედგება 15 000-20 000 ჯარისკაცისაგან, მაგრამ რუსეთს, ალბათ, გაუჭირდება ამ მასშტაბამდე მე-3 არმიის კორპუსის მიყვანა, თუ გავითვალისწინებთ უკრაინაში ნებაყოფლობით ბრძოლაში ჩართვის ძალიან შეზღუდულ სახალხო ენთუზიაზმს“, - ნათქვამია ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ინფორმაციაში.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

უკრაინის გამარჯვება იქნება რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების დასასრულის დასაწყისი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„მესამე მსოფლიო ომის რეალური ნიშნები“ - სწორედ ასე აფასებენ ანალიტიკოსები რუსეთ-უკრაინის ომს და ეს გადაჭარბებული სიტყვები არ გახლავთ - რუსეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველმა გააჩაღა ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება ევროპის კონტინენტზე, მიზანი უკრაინის სატელიტ სახელმწიფოდ გადაქცევაა, რასაც ეს ქვეყანა და, გარკვეულწილად, დასავლეთიც ეწინააღმდეგება

მსოფლიო თვალს ადევნებს უკრაინის ომის ძირითადი მონაწილეების (აშშ-რუსეთი) ირიბ დაპირისპირებას. ცხადია, მათი ინტერესები მკვეთრად გადაიკვეთა. აშკარაა, რომ დღეს უკრაინაში, ერთგვარად, წყდება მსოფლიოს მომავალი. დიახ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვებს ამ დაპირისპირებაში. ექსპერტების მოსაზრებით, ეს დაპირისპირება უკრაინაში რომ არ მომხდარიყო, სხვაგან მაინც მოხდებოდა. უკვე მეექვსე თვეა, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ბევრ რამეს აეხადა ფარდა: გამოჩნდა ევროპის ერთიანობა, ვხედავთ, როგორი თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს წამყვანმა სახელმწიფოებმა უკრაინას, როგორ ამარაგებენ იარაღით, როგორ ეხმარებიან ფინანსურად, დიდია პოლიტიკური მხარდაჭერაც, თუმცა გერმანია, საფრანგეთი და უნგრეთი დროდადრო რუსეთის პოლიტიკას ლობირებენ დასავლეთში. მიუხედავად უკრაინის მიმართ ზემოაღნიშნული ქვეყნების არათანმიმდევრულობისა, უნდა ითქვას, დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა რომ არა, უკრაინელებს გაუძნელდებოდათ აგრესორთან დაპირისპირება. თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდა, ეს მნიშვნელოვანად დააჩქარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას. პირდაპირ უნდა ითქვას, რუსეთი არ ელოდა უკრაინის მხრიდან ასეთ წინააღმდეგობას, არც საყოველთაო თანადგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისგან, რომლებმაც უარი თქვეს ეკონომიკურ სიკეთეებზე და მძლავრი სანქციები დაუწესეს რუსეთს. ფაქტია, რუსეთი არ ელოდა მოვლენების ამგვარ განვითარებას. ომის დაწყებამდე ყოფილმა პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთმა იცის, უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რა სანქციებს დააკისრებს მას დასავლეთი და ამისთვის მზად არიან. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. რუსეთის ელიტა, ოლიგარქები, ტელევიზიის წამყვანები, მომღერლები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათ სანქციები შეეხებოდათ. მეტიც, ყველანაირი ფაქტობრივი მონაცემი არსებობს, რომ რუსეთს ინვენტარი, სიმბოლიკა ჰქონდა ჩატანილი უკრაინაში და 1945 წლის მაისის გამარჯვების აღლუმის ჩატარება ჰქონდა დაგეგმილი კიევში, რაც არ გამოუვიდა. უნდა დავასკვნათ, რომ პუტინი მრჩეველების მაამებლურ გარემოცვაში იყო. სწორედ ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი ანდრეი პიანტკოვსკი: „პუტინს ეუბნებოდნენ მხოლოდ იმას, რაც სიამოვნებდა, ხოლო რეალური მდგომარეობა მაქსიმალურად დაუმალეს. რუსეთი ასეთ გაჭიანურებულ კონფლიქტს არ ელოდა, მისი იდეა იყო, ბლიცკრიგით გაევლო უკრაინა და დაესვა იქ მარიონეტული ხელისუფლება“, - დასძენს პოლიტოლოგი. მისი თქმით, ომის ბედი, სავარაუდოდ, ხერსონის ბრძოლაში გადაწყდება, რომელიც სტალინგრადის მსგავსი ბრძოლა იქნება. ამ მხრივ საყურადღებოა ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსების ანალიზი.

„უკრაინა ომის დაწყების შემდეგ პირველად ხელში იღებს სტრატეგიულ ინიციატივას და აიძულებს რუსეთს, ძალები გადაანაწილოს და პრიორიტეტები შეცვალოს უკრაინის კონტრშეტევითი ოპერაციის საპასუხოდ“, - წერს ამერიკის ომის შესწავლის ინსტიტუტი მორიგ ანგარიშში, სადაც, ასევე, აღნიშნულია, რომ „ხერსონში უკრაინელების მიერ მომზადებულმა კონტრშეტევამ და ამ კონტრშეტევის ფარგლებში ჩატარებულმა ოპერაციებმა, მთლიანობაში, რუსული ძალების მკვეთრი დასუსტების პარალელურად, უკრაინელებს საშუალება მისცა, პირველად დაიწყოს ომის მსვლელობის აქტიურად განსაზღვრა“.

საუკუნის მარცხად აფასებს რუსეთის შეჭრას უკრაინაში უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი: „რუსეთმა საერთოდ არ იცოდა, რომ აქ არ იყო ძლიერი პრორუსული განწყობები, რომ 2022 წლის უკრაინა საერთოდ არ ჰგავს 2012 წლის უკრაინას. მოსკოვმა არაფერი იცოდა უკრაინის სამხედრო მომზადების და მისი არმიის შესახებ“.

და მაინც, რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი რუსეთისთვის უკრაინა? ექსპერტთა თქმით, ამას განაპირობებს ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა. თავის დროზე ამერიკელმა პოლიტოლოგმა ბუეზინსკიმ თქვა, რომ უკრაინის გარეშე რუსეთის იმპერია ვერ აღდგება. პუტინს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო და ცდილობს თანამედროვე, საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა დსთ, მოხდა სახელმწიფოების გადაჯგუფება, რუსეთმა საწადელს ვერ მიაღწია ბოლომდე, ამიტომ იღვწის, შეზღუდოს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ამის მკაფიო მაგალითებია. როგორც ჩანს, რუსეთისთვის უკრაინა კარგი საშუალებაა იმ გავლენების დასაბრუნებლად, რაც საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ რუსეთი იგნორირებული და გადასროლილი აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნების სიაში, რომელთაც საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ, მაგრამ პუტინმა სხვა რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენის სფეროების დაკანონებას ითხოვს, თუმცა, რასაკვირველია, დასავლეთი წინააღმდეგია. ამიტომ რუსეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა. თავდაპირველად საქართველოს მიმართ განახორციელა აგრესია, რაზეც დასავლეთმა სათანადო რეაგირება არ მოახდინა, ამას მოჰყვა ყირიმის ანექსია, შემდეგ სირიის ომში ჩართვა, ევროპულ და ამერიკულ არჩევნებში ფარული მონაწილეობა, რომ არაფერი ვთქვათ კრემლისეულ პროპაგანდაზე.

თუმცა უკრაინაში წარმოებულმა ომმა დასავლეთი შეძრა და როგორც ვთქვით, ერთ მუშტად შეკრა - დაწესებულებული სანქციები ამის ნათელი მაგალითია. როგორც ამბობენ, სერიოზული სანქციები ჯერ კიდევ წინ არის. მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ ბლოკადაზე, ემბარგოზე, ამ მხრივ ყველაზე დიდი სანქცია იქნება, თუ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილი დასაბუთებული ბრალის შემთხვევაში, გამოიტანენ პუტინის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს და საერთაშორისო დამნაშავედ ცნობენ. ბევრს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა - დააკავებენ თუ არა პუტინს და როგორ აღსრულდება განაჩენი? ექსპერტთა თქმით, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ქვეყანას ეყოლება ჰააგის სასამართლოს მიერ საერთაშორისო დამნაშავედ ცნობილი პირი და ეს არა მარტო მისი, არამედ მთელი ქვეყნის დისკრედიტაცია იქნება... როგორც ჩანს, კრემლის მესვეურნი გრძნობენ, რომ მათ მიმართ დროთა განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება და მსოფლიოს აშანტაჟებენ. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამას წინათ განაცხადა, რომ მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების წინაშეა, რა თქმა უნდა, ორი ზესახელმწიფო (რუსეთი და აშშ) აშკარა ომში არ ჩაერთვება და ბირთვულ ომს არ გააჩაღებს, სადაც დამარცხებული და გამარჯვებული არ იარსებებს. სავარაუდოდ, ისინი ირიბად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. საეჭვოა, რომ აშშ-მა უკრაინა გასწიროს, რადგან რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ახალი სამიზნე უკვე ბალტიისპირეთის ქვეყნები იქნებიან. კარგად გააცნობიერეს დასავლეთში, თუმცა, თუ გარიგება მოხდა აშშ-სა და რუსეთს შორის, ეს უკანასკნელი, ცხადია, რაიმეს მოითხოვს, სავარაუდოდ - სანქციების შემსუბუქებას, ანდა გავლენის დაკანონებას მოლდოვასა და სამხრეთ კავკასიაში. აქ ჩნდება კითხვა - რომელი პოსტსაბჭოთა ქვეყანა იქნება კრემლის სამიზნე? ექსპერტები ორ ქვეყანას - საქართველოს და მოლდოვას ასახელებენ. უკრაინაში მარცხის შემთხვევაში, რუსეთი სავარაუდოდ, ვერ შეძლებს ფართომასშტაბიანი ომის წარმოებას სამეზობლოში.

რა თქმა უნდა, უკრაინის ომის შედეგს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ევრაზიის კონტინენტზე, ამ ომის დასრულების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკრაინის გამარჯვება რუსეთისთვის იქნება იმპერიალისტური ზრახვების დასასრულის დასაწყისი, რაც უპირველესად პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაა მისაღები.

პლატფორმა – ქალთა გაძლიერებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ძლიერი ქალი დღევანდელი გამოწვევების პირობებში ნიშნავს ძლიერ სახელმწიფოს, ძლიერ სახელმწიფო მმართველობას, რისი პრობლემაც, სამწუხაროდ, დღეს დგას საქართველოში. დარწმუნებული ვარ, მეტად ფართო რომ იყოს ქალებისთვის შესაძლებლობები, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა ქვეყანაში ყველა მიმართულებით“, - აღნიშნა პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნათია მეზვრიშვილმა, რომელმაც პარტიის მიერ ჩამოყალიბებული „ქალთა გაძლიერების პლატფორმა“ აჭარაში მცხოვრებ ქალბატონებს გააცნო. როგორც მან განაცხადა, პლატფორმის კარი ღიაა ყველასთვის, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა

- პლატფორმა არ გვაქვს შეზღუდული პოლიტიკური გემოვნების მიხედვით. ყველა იმ ადამიანს, ვისაც შეიძლება არ მოსწონს პარტია „საქართველოსთვის“, მაგრამ აღნიშნული პლატფორმის საერთო მიზანს იზიარებს, შეუძლია მოვიდეს ჩვენთან, გაწევრიანდეს, ჩაერთოს ჩვენს საქმიანობაში, ან უბრალოდ, გაგვიზიაროს თავისი შეხედულებები და გააჟღეროს საინტერესო ინიციატივები. ბევრი ძალიან კარგი მიზანი აქვს პლატფორმას, პირველ რიგში, ესაა: ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა, ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ასე შემდეგ. მოხარული ვარ, რომ ყველა რეგიონში, სადაც გავმართეთ შეხვედრა, ნათლად ჩანს არსებული გამოწვევების დაძლევის მზაობა. როდესაც გაძლიერებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ქალბატონების როგორც პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გაზრდას, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით მხარდაჭერას და ვთავაზობთ ჩვენი ექსპერტული ცოდნის გაზიარებას, რადგან პარტიაში ბევრი ადამიანი გვყავს, ვისაც სხვადასხვა მიმართულებით ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება გააჩნია. ამ ეტაპზე იდენტიფიცირებას ვუკეთებთ იმ პრობლემებს, გამოწვევებს, რომლის წინაშეც ქალები დგანან, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით. სულ მალე დავიწყებთ კონკრეტული ინიციატივების რეალიზებას და დარწმუნებული ვარ, ეტაპობრივად, ხელშესახები შედეგები გვექნება, - განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

შეხვედრაზე დამსწრე ქალბატონებმა არაერთი საინტერესო პოზიცია გააჟღერეს, აღნიშნეს, რომ მცირე სასიკეთო ძვრების მიუხედავად, სასურველია, მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში. ითქვა, რომ გადაწყვეტილების მიმღებ რგოლებში ქალთა ნაკლებობაა, რასაც ხშირად ისევ ქალების პასიურობას და არასათანადო მზაობას აბრალებენ.

იხ. მე-4 გვ.

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ხელი მოაწერა შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების დოკუმენტს. მან აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, შვედეთი და ფინეთი ნატოს ყველა ვალდებულებას შეასრულებენ. აშშ-ის პრეზიდენტმა მოკავშირეებს შვედეთისა და ფინეთის ალიანსში გაწევრიანების პროცესის რატიფიცირების დაჩქარებისკენ მოუწოდა. „მოვუწოდებ დარჩენილ მოკავშირეებს, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულონ რატიფიკაციის პროცესი“, - აღნიშნა ბაიდენმა. შეგახსენებთ, უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე, ფინეთმა და შვედეთმა ნატოში განაცხადის შეტანის ოფიციალური პროცესი მაისში დაიწყეს.

* * *

რუსეთი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის საკითხის განსახილველად 11 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვას ითხოვს. „ჩვენ მოვითხოვეთ შეხვედრა უკრაინის მიერ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის დაბომბვასთან დაკავშირებით. ეს საკითხი მოითხოვს დეტალურ საუბარს უშიშროების საბჭოს კოლეგებთან. უკრაინის პროვოკაციები არ უნდა იყოს დამალული საზოგადოებისთვის“, - განაცხადა გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის პირველმა მოადგილე დიმიტრი პოლიანსკიმ. უკრაინის ხელისუფლების ბრალდებას, რომ რუსეთმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური რამდენჯერმე დაბომბა, რუსული მხარე უარყოფს და ელექტროსადგურის დაბომბვაში კიევს ადანაშაულებს.

* * *

ტაივანის ჯარმა ჩინეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმისას კუნძულის დაცვის მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში საარტილერიო წვრთნები ჩაატარა. დაახლოებით ერთსაათიანი წვრთნები საარტილერიო და სარაკეტო სროლებს აერთიანებდა. სწავლება მოიცავდა ასობით სამხედროსა და 40-მდე ჰაუბიცის განლაგებას. ტაივანში აცხადებენ, რომ წვრთნები 11 აგვისტოს გაგრძელდება. ტაივანის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოზეფ ვუს განცხადებით, ჩინეთი აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ნენსი პელოსის ვიზიტის პროტესტის ნიშნად დაწყებულ სამხედრო წვრთნებს თვითმმართველ კუნძულზე შეჭრისთვის მოსამზადებლად იყენებს.

* * *

9 აგვისტოს, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ფლორიდაში დონალდ ტრამპის სახლში ჩხრეკა ჩაატარა. ტრამპის ადვოკატმა დაადასტურა, რომ FBI-m mar-a-lagoს რეზიდენციიდან დოკუმენტები ამოიღო. აშშ-ის ექსპრეზიდენტმა მომხდარს „ქვეყნისთვის ბნელი დრო“ უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ქმედება არაფრით განსხვავდება უოტერგეიტის სკანდალისგან. მიმდინარე წლის თებერვალში აშშ-ის ეროვნული არქივის ადმინისტრაციამ კონგრესს აცნობა, რომ ფლორიდაში მდებარე დონალდ ტრამპის რეზიდენციაში თეთრი სახლიდან წაღებული დაახლოებით 15 ყუთი დოკუმენტები ამოიღო, რომელთაგან ზოგიერთი საიდუმლო მასალებს შეიცავდა. თეთრ სახლში განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა ტრამპის რეზიდენციაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ მედიასაშუალებებიდან შეიტყო.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარაში ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია

ხატია იაშვილი 591 98 24 26

ორწლიანი პაუზის შემდეგ, აჭარაში საზაფხულო ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია - ჩვენს რეგიონს უამრავი ვიზიტიორი სტუმრობს

უცხოელ სტუმრებს ტურისტულ კომპანიებთან, გიდებთან თითქმის ყველა ტური წინასწარ აქვთ დაგეგმილი. „გაცოცხლებულია“ ტურისტული ობიექტები. არის რიგი პრობლემებიც, რომელთა გამოსწორება აუცილებელია რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის, პირველ რიგში კი საგზაო ინფრასტრუქტურა. პრობლემებზე, წინ გადადგმულ ნაბიჯებზე და, ზოგადად, რეგიონში ტურისტული სეზონის მიმდინარეობაზე აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაციის პრეზიდენტი აკაკი ბერიძე საუბრობს. იგი სპეციალობით ინჟინერ-ენერგეტიკოსია, 2011 წლიდან ტურიზმის სფეროში საქმიანობს. ამავე წელს დააარსა ტურისტული კომპანია „აკარ ტური“. 2016 წელს აირჩიეს ტურიზმის დეპარტამენტის მრჩეველთა რეგიონალური საბჭოს წევრად, 2017 წელს - მაჭახლის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2018 წელს დააფუძნა აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტია. 2021 წელს მიიწვიეს აჭარის სამუზეუმო გაერთიანების საბჭოს წევრად. შექმნა ტურისტული მარშრუტები, არის ახალი საექსკურსიო მარშრუტების მკვლევარი.

- პანდემიის პერიოდში ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანებიც დაზარალდნენ. პანდემიამ სრულიად შეცვალა საქმიანობის შესაძლებლობები, ფაქტობრივად, ოფისების და თანამშრომლების შენარჩუნება შეუძლებელი გახდა, რამაც გამოიწვია საოფისე ობიექტების დაკეტვა და ტურისტული კომპანიების საქმიანობამ სახლებში - ონლაინრეჟიმში გადაინაცვლა. ამან ძალიან დააზარალა ჩვენი სფერო, რადგან ყველა ამ ბიზნესში ჩაერთო, რაც დამღუპველია სფეროს განვითარებისთვის. წლევანდელ სეზონზე ვერ ვიტყვი, რომ კარგია 2019 წელთან შედარებით, თუმცა ივლისიდან ტურისტების შემოდინება მკვეთრად გაიზარდა და გაჩნდა უკეთესის მოლოდინი. წელს, ძირითადად, საბერძნეთიდან, არაბეთის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან, ბელარუსიდან, ბალტიის ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ ტურისტები დასასვენებლად. მათ ყველაზე მეტად იზიდავთ იახტკლუბი და ბულვარი, ასევე „პიაცა“, დელფინარიუმი. ხშირად იგეგმება ტური გონიოსა და პეტრას ციხეებზე, მაჭახლის ხეობაში, მახუნცეთის ჩანჩქერზე, ძალიან მოსწონთ მთიანი აჭარა. თუმცა ვაწყდებით რიგ პრობლემებს, ტურისტულ ობიექტებზე, ჩანჩქერის ბილიკებზე ნაგვის ურნები გადატენილია, ხშირად გვემსახურებიან არაკვალიფიციური კადრები, გზებზე თითქმის არ არსებობს საპირფარეშო, მოსაწესრიგებელია საგზაო ინფრასტრუქტურა უსაფრთხო გადაადგილებისთვის და, საერთოდ, მომსახურების დაბალი დონეა. აუცილებელია ახალი კანონი, რაც დაარეგულირებს ტურიზმის სფეროს გამართულ მუშაობას. იგი უამრავ პრობლემას მოხსნის. უპირველესად, უცხოელ ტურისტს მოემსახურება გამოცდილი ტურისტული კომპანია და არ გახდება თაღლითობის მსხვერპლი. სამომავლოდ, ვფიქრობ, უნდა გაერთიანდეს მთელი ტურისტული სექტორი, რომ შეძლოს ერთმანეთის რეკომენდაციით და გვერდში დგომით უკეთესი მომსახურების გაწევა. ამაზე ჩვენი ფედერაცია უკვე მუშაობს. ახლა აქტიურად ვიწყებთ ზემო აჭარაში ტურისტული მარშრუტების ამუშავებას, სადაც მემთეურების ოჯახების ჩართვით მოვაწყობთ რამდენიმე აქტივობას. ამის განსახორციელებლად, უპირველესად, საჭიროა გზების მოწესრიგება. ეს საკითხი ხულოს მერიის დახმარებით უნდა გადაიჭრას, რათა შევძლოთ სალაშქრო ტურების დაგეგმვა. ახლახან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა გამოსცა წიგნი „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“, რომლის მიხედვითაც გვინდა მთებში ამ კერძებს პოპულარიზაცია გავუწიოთ. გვაქვს მრავალი გეგმა, რომელსაც ეტაპობრივად განვახორციელებთ, - გვითხრა აკაკი ბერიძემ.

ვინილის ფირფიტების გამოფენა – ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

ძველმა თაობამ კარგად იცის გრამფირფიტას, იგივე ფირფიტების (ვინილის) შესახებ, რომელიც ხმოვანი ინფორმაციის ანალოგიური მატარებელია. ეს არის დისკი, რომლის ერთ ან ორივე მხარეზე ამა თუ იმ მეთოდით ჩაღრმავება იტვიფრება, რომლის ფორმაც ხმოვანი ტალღით არის მოდულირებული

ახალმა თაობამ ნაკლებად იცის ვინილების შესახებ. დღეს ძალიან ცოტა ოჯახს თუ აქვს შემონახული იგი. სწორედ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში ვინილების კოლექციის გამოფენა გაიმართა ვარდის ჩაის თანხლებით. დამთვალიერებლები, ძირითადად, ბავშვები იყვნენ. სტუმრებს გამოფენის მნიშვნელობაზე ესაუბრა სსიპ „აჭარის მუზეუმების გაერთიანების“ დირექტორი თეონა ზოიძე.

- ვცდილობთ, თითოეული ღონისძიება მივუსადაგოთ თემატურად იმ მუზეუმს, რომელიც ბათუმში არსებობს. ამ შემთხვევაში რაც აქ, ტექნოლოგიურ მუზეუმშია წარმოდგენილი, ტექნოლოგიურ განვითარებაზე მიუთითებს. დარწმუნებული ვარ, ახალი თაობისთვის უცნობია ის, რაც დღეს აქ არის წარმოდგენილი. ეს გამოფენა ემსახურება იმას, რომ არ დავივიწყოთ წარსული, პატივი ვცეთ აწმყოს და იმედის თვალით შევხედოთ მომავალს. სასიამოვნოა, რომ კოლექციონერებმა დიდი სიხარულით მიიღეს შემოთავაზება და დაგვეხმარნენ ამ გამოფენის მოწყობაში, - განაცხადა თეონა ზოიძემ.

- არ მეგულება ადამიანი, რომლის ოჯახშიც ფირფიტები, გრამაფონები, ფირსაკრავები არ ყოფილიყო. ჩვენ გამოფენილი გვაქვს კერძო კოლექციონერების საინტერესო ვერსიები. მიხარია, რომ ძირითადად ბავშვები არიან მოსულები, რომლებმაც დღეს მიიღეს ძალიან საჭირო და საინტერესო ინფორმაცია. აქვე არიან კოლექციონერებიც და არ შემიძლია მათ მადლობა არ გადავუხადო მხარდაჭერისთვის, - თქვა ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელმა მედეა ჩარკვიანმა.

ფირფიტები კერძო კოლექციონერების აკაკი ძნელაძის, რუსლან გვაზავას, ნანი ფაჩუაშვილის, ალექსანდრე (ნანატრი) ჩიტიშვილის, ლევან წულუკიძის პირადი კოლექციებიდან იყო წარმოდგენილი. ისინი თავად ესაუბრნენ ბავშვებს ვინილების ისტორიასა და მათი უნიკალურობის შესახებ.

- ვინილების გამოფენა ძმები ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმში ჩვენი ბავშვობაა, აქ არის ჩვენი მშობლების, მათი წინაპრების ფირფიტები, აქ არის ჩემი ვინილების კოლექცია. ძალიან კარგია, რომ ახალი თაობა ესწრება ამ გამოფენას, დაინტერესდა იმით, რა არის ვინილი, თუ როგორი მაგნიტური ხმა აქვს მას, - აღნიშნა აკაკი ძნელაძემ.

- ბავშვობიდან მიყვარს მუსიკა. აქ არის ბევრი ისეთი ფირფიტა, რომელიც აღარ მოიპოვება. მიხარია, რომ ახალი თაობა ჩემი კოლექციიდან მოისმენს სხვადასხვა კომპოზიციას, - გვითხრა ლევან წულუკიძემ.

მუზეუმში მისულ ვიზიტიორებს ლამაზი, სევდიანი, რომანტიკული და მივიწყებული მელოდიების მოსმენის შესაძლებლობა ჰქონდათ.

პლატფორმა – ქალთა გაძლიერებისთვის

მე-3 გვერდიდან

- ამ პრობლემას არ აქვს ერთი მიზეზი, მიზეზი მრავალგვარია. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც თავდაჯერების პრობლემაა ქალებში და ამ თავდაჯერების გაღვივებასაც შესაბამისი მუშაობა სჭირდება. მან უნდა ირწმუნოს საკუთარი შესაძლებლობები. არის ეს პრობლემაც, თუმცა, ვფიქრობ, მთავარი მაინც სტერეოტიპები, საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობაა. ამ მიმართულებით არის ძალიან ბევრი სამუშაო გასაწევი და ამაში, უპირველეს ყოვლისა, მთავარი როლი ეკისრება ხელისუფლებას. მას აქვს ყველა ბერკეტი იმისთვის, რომ ცნობიერებაში, ადამიანების მიდგომებში, პოლიტიკაში გარდატეხა მოახდინოს და ორიენტირებული იყოს არა მარტო რაოდენობაზე, არამედ ხარისხზეც. ჩვენ, ქალბატონებმა, ბევრი უნდა ვისაუბროთ არსებულ გამოწვევებზე და ერთად დავსახოთ გზები პრობლემების აღმოსაფხვრელად, - აღნიშნა ნათია მეზვრიშვილმა.

ქალთა გაძლიერების პლატფორმაზე გაზეთ „აჭარასთან“ ისაუბრა პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა ეკატერინე ვეფხვაძემ. მისი თქმით, საქართველოში ქალებს შემართება და მოტივაცია არ აკლიათ, უბრალოდ, საჭიროა მეტ თანადგომას გრძნობდნენ ისინი სახელმწიფოსგან, საზოგადოებისგან.

- როგორც აღვნიშნეთ, პლატფორმის კარი ღიაა ნებისმიერი ადამიანისთვის, ყველა იმ ქალბატონისთვის, ვინც თვლის, რომ შეუძლია გაძლიერდეს და გააძლიეროს სხვა. მიმაჩნია, ყველა ქალი ძლიერია თავისი ბუნებით, მთავარია, გარე ფაქტორებმა არ შეუშალოს მას ხელი რეალიზებაში. ხშირად საზოგადოების, ოჯახის წევრების დამოკიდებულება, ნაკლები ნდობა იწვევს გარკვეულ იმედგაცრუებას ქალბატონებში. ამ დროს თვითშეფასების პრობლემა იჩენს თავს. თუმცა, სწორედ ამიტომ იქმნება ქალთა გაძლიერების პლატფორმები, სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელიც ქალთა უფლებებზე მუშაობს, ქალების ხმა ყველა ტრიბუნიდან და ღირსეულად უნდა ისმოდეს, - გვითხრა ეკატერინე ვეფხვაძემ.

კონკურსი – „ოპერის ოქროს ხმა“

24 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ბათუმის საზაფხულო თეატრსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში დაფუძნდება შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმის რაფსოდია“. მის ფარგლებში გაიხსნება საერთაშორისო საოპერო კონკურსი - „ოპერის ოქროს ხმა“, რომელიც ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერლებს გამოავლენს.

კონკურსის დამფუძნებელი და პრეზიდენტია ჯუზეპე ვერდის და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ვენის შტაატსოპერის „ებერჰარდ ვეხტერის“ საპატიო მედლის მფლობელი, ავსტრალიის ხელოვნების უმაღლესი ჯილდო „ჰელფმან ევარდსის“ ნომინანტი, კონსერვატორიის მოწვეული პედაგოგი, სოპრანო თამარ ივერი.

კონკურსი „ოპერის ოქროს ხმა“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფესტივალების საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაიმართება.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი და სავაჭრო პალატა.

ანკა ჩხიკვაძე

ქართული მათემატიკური სკოლის მებაირახტრე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ისტორიული სხალთის ხეობის მკვიდრს ***ონისე სურმანიძეს*** *ჰუმანიტარულ დისციპლინებთან ერთად, მათემატიკაც იტაცებდა. ეს გატაცება შემდეგ მეცნიერულ კვლევებში გადაიზარდა. იგი ხეობაში პირველი იყო, რომელმაც პარტიული და პოლიტიკური კარიერა მეცნიერებით ჩაანაცვლა. წუთისოფელში უკვალოდ არაფერი იკარგება - წლევანდელ «შუამთობის» დღესასწაულზე 80 წლის პროფესორს თანარაიონელებმა ამაგი დაუფასეს და «საპატიო ხულოელად» აირჩიეს. ონისე სურმანიძე ჩვენი სტუმარია.*



- თანარაიონელთა რჩეული გახდით. ამ ფაქტს როგორ შეაფასებდით?

- ყველა ხულოელისთვის უდიდესი პატივია ის წოდება, რომელიც მომანიჭეს. «შუამთობა», სხვა ღონისძიებები ჩემთვის უცხო არაა. სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი დატვირთვის მიუხედავად, უსაყვარლეს ადამიანებთან ერთად, სახალხო დღესასწაულების მონაწილეთა რიგებში ვდგები. ორი წლის განმავლობაში «შუამთობაზე» აღარავის მოვუპატიჟებივარ. წელს განსაკუთრებული ყურადღება რომ გამოიჩინეს, ცოტა გამიკვიდა. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო, როცა დღესასწაულის წამყვანმა, თანახეობელმა, პოეტმა ნანა შაინიძემ ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა. ასეულობით მოზეიმეთა თანდასწრებით აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ დიპლომი გადმომცა. აღტაცებას ვერ ვფარავ. მადლობის მეტი რა მეთქმის იმ ადამიანების მისამართით, რომლებმაც გამიხსენეს. დღემდე ჩემს უნარს, ფიზიკურ თუ გონებრივ შესაძლებლობას მშობლიურ ხულოს ვახმარდი, ამის შემდეგაც ასე გაგრძელდება. მართალია 81-ე წელში შევაბიჯე, მაგრამ გული არ იმჩნევს ასაკს.

- ხეობაში პირველი ჩადექით ქართული მათემატიკური სკოლის მკვლევართა რიგებში...

- აწ განსვენებული აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი იყო ჩემი გზამკვლევი. იგი მაშინ გვსტუმრობდა ხულოში ცნობილ მეცნიერებთან ერთად, როცა თანარაიონელი ახალგაზრდების ხელმძღვანელი ვიყავი. იგი ლექციების წასაკითხად მოავლინეს, რომელიც პოლიტიკური იყო. როგორც ხულოელი ახალგაზრდების ლიდერი, ამ პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ვიყავი ჩაბმული. სამუშაო კაბინეტში სამაგიდო წიგნებად მათემატიკური სახელმძღვანელოები მედო. მათი დანახვისთანავე ბატონმა გიორგიმ შემომთავაზა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მათემატიკის ინსტიტუტში წავსულიყავი სამუშაოდ და მეცნიერული კვლევების დასაწყებად. უარი არ მითქვამს, პირიქით, ეს შემოთავაზება დიდი სიხარულით მივიღე და ქართული მათემატიკური სკოლის მკვლევართა რიგებში ჩავდექი. იმხანად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო. მასთან პირველი შეხვედრა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო. მისი ხელდასმით გავხდი ასპირანტი. კურსი მოსკოვში გავიარე, რომლის დასრულების შემდეგ, თბილისში დავბრუნდი და მათემატიკის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა.

- პირველი ლექციები რომელ უმაღლეს სასწავლებელში წაიკითხეთ?

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თანაც - ასპირანტებთან, შემდეგ შეთავსებით ვმუშაობდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტი (ახლა უნივერსიტეტია), თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტია). 37 წლის განმავლობაში ვკითხულობდი ლექციებს დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში. 15 წლის წინ ბათუმს დავუბრუნდი და აქ ვაგრძელებ ლექციების კურსს. მრავალ ახალგაზრდას დავეხმარე, ხმა შევაწიე, რეკომენდაცია გავუწიე და ისინი ახლა წარმატებული მეცნიერები არიან. ამჟამად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე ვმუშაობ. ჩემთვის, თანაც ამ ასაკში, დიდი პატივია ახალგაზრდებთან ურთიერთობები. გულს უხარია, ყოფილი თუ ახლანდელი სტუდენტები შეხვედრისას მოკრძალებით რომ მესალმებიან. აუდიტორიაში შესვლისთანავე ვცდილობ, ახალგაზრდებთან მეგობრული ურთიერთობა დავამყარო. წლების განმავლობაში ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი ან თავმჯდომარე ვიყავი. აბიტურიენტებს თანადგომას არ ვაკლებდი, ვიცოდი, აჭარის მთიანეთის მკვიდრ, ხელმოკლე ოჯახებში გაზრდილ გოგო-ბიჭებს, თუნდაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ჩამოსვლა რა ვითარებაში უხდებოდათ. ამაგს მრავალი ახლაც მახსენებს, მადლობას მიხდის.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- ჩემი მეუღლე ბათუმში მცხოვრები აფხაზების შთამომავალია. 55 წელზე მეტია მე და ლამარა ჩურგბა ერთად მოვდივართ. მას ხულოელები ჩემზე უკეთ იცნობენ. თბილისში რომ ვცხოვრობდით, ჩვენი ბინა უამრავი ხულოელის ნავსაყუდელი იყო. ახლაც ისეთივე სიყვარულით მასპინძლობს ხულოელებს, ყველა ჩემს ახლობელს, მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობა ოდნავ შერყეული აქვს. ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გავზარდეთ. ვაჟები თბილისში ცხოვრობენ, ქალიშვილი - ჩვენთან. იგი ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჯანმრთელობის მიმართულებით მუშაობს, სპეციალობით ფარმაცევტია. მისგან ორ შვილიშვილს და შვილთაშვილს მოვესწარით. უფროსი ვაჟის შვილი ელენე სურმანიძე ცეკვითაა გატაცებული. პროექტის - «ცეკვავენ ვარსკვლავების» მონაწილე იყო. უმცროსი ვაჟი სექტემბერში ოჯახის შექმნას აპირებს.

- დღეს ადგილობრივი კადრები მათემატიკური მეცნიერების მწვერვალებს იპყრობენ...

- 1964 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე ორი მეცნიერიც არ იყო აჭარის მთიანეთიდან. მიხარია, რომ ახლა მარტო ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე 20-მდე მეცნიერი, ხულო-შუახევი-ქედის მკვიდრია. დღის წესრიგში დადგა საკითხი, ბათუმში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ფილიალი გახსნილიყო. საჭირო შენობა ვერ გამოინახა და საკითხი დაიბლოკა. ამ საქმის მოთავეთა რიგებში მეც გახლდით.

- ეროვნულ მოძრაობაშიც შეიტანეთ თქვენი წვლილი.

- თბილისში, ახლანდელი პარლამენტის შენობის ახლოს ვცხოვრობდი. ვიყავი იმ გამოსვლების, მიტინგების აქტიური მონაწილე, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იმართებოდა. პირადი ურთიერთობები მქონდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჩვენი მეგობრები მიტინგებზე რომ ჩამოდიოდნენ, მათ მასპინძლობასაც ვუწევდი. მათემატიკის ინსტიტუტში გვყავდა ეროვნული იდეებით დამუხტული ახალგაზრდები. ისინი აჭარის მთიანეთში ვისტუმრე. პირველი, რაც მოვინახულეთ, სხალთის ტაძრის შენობა იყო. პირველი პარაკლისი იმ ახალგაზრდების მონაწილეობით გადავიხადეთ 1988 წლის ოქტომბერში. მაშინ სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი (სპეციალობით კიბერნეტიკოსი) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი და სტიქაროსანი იყო. ისიც გვახლდა სხალთაში. არ დამავიწყდება ხულოს მაშინდელი ხელმძღვანელების ბესარიონ შაინიძის, ანზორ თავართქილაძის, ეთერ დეკანაძის, ეთერ აბულაძის გულღია და კეთილი მასპინძლობა. მეუფე სპირიდონი (გოჩა აბულაძე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით იყო ჩამოსული. იმ დღეს სხალთის ეკლესია არ ამოქმედებულა. თუმცა სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, რაც 1989 წლის 29 მაისს საყოველთაო ნათლობითა და ეკლესიის ამოქმედებით დაგვირგვინდა. ნათლობა პატრიარქმა ჩაატარა. ეკლესიის წინამძღვრად მამა იობი (რუის-ურბნისის ეპარქიის ახლანდელი მიტროპოლიტი) მოავლინეს. ახლა, 33-წლიან პერიოდს გონებაში რომ გადავხედავ, თვალნათლივ ჩანს ის დიდი საქმეები, რაც ამ კუთხეში პატრიარქისა და მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით კეთდება. 1981 წელს მოვინათლე, კომუნისტური რეჟიმის მკაცრ წლებში. მაშინ მათემატიკის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ვიყავი, მაგრამ ეს თანამდებობა არად ჩავაგდე და მთელი ოჯახი მართლმადიდებლობას ვეზიარეთ. ნათლობის რიტუალის შემდეგ, სუფრა გავშალეთ. თამადობა ცნობილმა მათემატიკოსმა, აკადემიკოსმა თენგიზ ბურჭულაძემ გაგვიწია. სუფრას შემთხვევით შემოესწრნენ მამა და ბიძაჩემი, რომლებმაც ჩვენი ნათლობის ამბავი არ იცოდნენ. «ეს ახალგაზრდაა, მისი ცხოვრება და მომავალი მასზეა დამოკიდებული, ღმერთმა ყველა საქმეში ხელი მოუმართოს», - თქვა მამაჩემმა. მამის ლოცვა დღემდე კეთილად მომყვება. დღემდე მთელი ოჯახი ეკლესიებში მივდივართ და რიტუალებს ვასრულებთ.

- რას გვეტყვით საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე?

- გული მწყდება, რომ ვიღაც-ვიღაცები საქართველოს ჩირქს სცხებენ, ცრუ ბრალდებებს უყენებენ. ხალხია ცოდვა, ერთეულების ახირებებს არ უნდა ეწირებოდნენ. ლამის საქართველო-უკრაინის საუკუნოვან მეგობრობას ბზარები გაუჩინეს. ახლა მთავარია ეს ბზარები ნაპრალებად არ იქცეს.

- მეგობრებზეც გაიხსენეთ...

- მეგობარი, მეგობრული ურთიერთობა ჩემთვის უძვირფასესია. მათ ვეფერები თბილისში, ბათუმში. გამორჩეულად მინდა პროფესორი ლადო ბალაძე დაგისახელოთ. იგი ცნობილი მათემატიკოსი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორია. ვმეგობრობ მის მოწაფე ანზორ ბერიძესთან. თბილად ვიგონებ მეგობრულ ურთიერთობებს აწ გარდაცვლილ თბილისელ აკადემიკოს ლეონარდო მძინარიშვილთან, გიორგი ჭოღოშვილთან ერთად, მან საქართველოში ტოპოლოგიური მიმდინარეობა შექმნა.

- მამისეულ კერას თუ უფრთხილდებით?

- ეს ჩემი საფიცარი და სათაყვანებელი ადგილია. სხალთის ხეობაში რომ შევდივარ, ამაღლებული, ენით აუწერელი განცდა მეუფლება და რაფიელ ერისთავის სიტყვები მახსენდება: «სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ...» მიყვარს და მუდამ მეყვარება აქაურობა.

„მთავარი შედეგია, ამიტომ არასოდეს ვიშურებ ენერგიას“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია ბათუმელი მოცეკვავე-მსახიობი, დიზაინერი და ფოტომოდელი ***ნანა სტამგოლიშვილი****. მას ხშირად ვხედავთ სხვადასხვა გადაცემაში, კლიპში, ვიდეორგოლში, ინტერნეტსივრცეში, სხვადასხვა ფოტოსესიასა და თურქულ ჟურნალებშიც კი. იმდენად გამორჩეული და დასამახსოვრებელი გარეგნობა აქვს, შეუძლებელია, ვინმე გულგრილი დატოვოს. სოციალურ ქსელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ათასობით გამომწერიც ჰყავს. გაგიკვირდებათ და, ამ ხელოვანმა გოგონამ ბაკალავრიატი საბუღალტრო-საგადასახადო განხრით დაამთავრა, მაგისტრატურაში ფინანსები და საბანკო საქმე შეისწავლა, საბოლოოდ კი მაინც იმ საქმით დაკავდა, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მას, როგორც დიზაინერს, საზოგადოება „ნანა ქართველის“ ფსევდონიმით იცნობს. მისი ტანსაცმლის ხაზი თანამედროვე სტილშია გადაწყვეტილი და ქართული ნაციონალური სამოსის ელემენტებით გამოირჩევა.*



- ნანა, თქვენს ბავშვობაზე, ოჯახზე გვიამბეთ.

- ბავშვობა ზღაპრული, ყველაზე უდარდელი და ბედნიერი პერიოდი იყო. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი უძვირფასესი ოჯახის წევრების დამსახურებაა. ზედმეტად მანებივრებდნენ და, სხვათა შორის, დღემდე ასე გრძელდება.

- როგორი ბავშვი იყავით, რა გაინტერესებდათ ყველაზე მეტად?

- როგორი ბავშვი ვიყავი, ალბათ, ჩემი ოჯახის წევრებს უნდა ჰკითხოთ, მაგრამ, ვფიქრობ, ვიყავი ძალიან დამჯერი. მრავალფეროვნება პატარაობიდანვე მომწონდა - სწავლასთან ერთად, მაინტერესებდა ცეკვაც, ხატვა, ქარგვა, სპორტი და ა. შ. მიუხედავად ამისა, ავირჩიე პროფესია, რომელიც იმ დროს ყველაზე პერსპექტიული იყო. ბაკალავრიატი საბუღალტრო-საგადასახადო განხრით დავამთავრე, მაგისტრატურა კი ფინანსების და საბანკო საქმის კუთხით. ძალიან საინტერესოა ეკონომიკის მიმართულება, მაგრამ საბოლოოდ, მაინც იმ საქმით დავკავდი, რაც ალბათ, ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ყველა აბიტურიენტს ვურჩევ, პროფესიის არჩევის დროს კარგად დაფიქრდეს, რაც გულით უნდა და ყველაზე მეტად აინტერესებს, ის აირჩიოს.

- პროფესიონალი მოცეკვავე-მსახიობი ხართ, როდის დაიწყეთ ცეკვა და სად?

- ცეკვაზე მშობლებმა სასკოლო ასაკში შემიყვანეს. რამდენიმეწლიანი წყვეტის შემდეგ, ისევ დამაბრუნეს, რადგან საშინელი სიარულის მანერა მქონდა, თან წელში მოხრილი დავდიოდი. ამ დროს 13 წლის ვიყავი, დიდების ჯგუფისთვის - გამოუცდელი, პატარებისთვის - დიდი ასაკის. ბატონმა თამაზ ბეჟანიძემ გადაწყვიტა, შანსი მოეცა. ერთ თვეში პატარების ჯგუფიდან დიდებში გადამიყვანეს. როგორც ჩანს, ნიჭი აღმომაჩნდა. მალევე, 14 წლის ასაკში, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ანსამბლ „ტბეთში“ ჩავირიცხე, სადაც მხოლოდ სტუდენტები ცეკვავდნენ. ეს იმ პერიოდში ძალიან დიდი წარმატება იყო. შემდეგ ცეკვა ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბათუმში“ გავაგრძელე, რაც დიდი გამართლებაა ჩემს ცხოვრებაში. არაჩვეულებრივ ადამიანებს შორის მოვხვდი. ის ჩემი დიდი ოჯახია, სადაც ბევრი კარგი რამ ვისწავლე.

- ხომ არ გიფიქრიათ, სამომავლოდ ქორეოგრაფი გამხდარიყავით?

- სამომავლოდ არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე ქორეოგრაფობისთვის დრო არ მრჩება.

- ტანსაცმლის დიზაინით როდის დაინტერესდით და რამდენი ხანია, რაც სამოსის საკუთარი ხაზი გაქვთ?

- დიზაინით ბავშვობიდან ვარ დაინტერესებული. ალბათ, დიდი გავლენა მოახდინეს დედამ, ბებიამ, დეიდამ, რადგან სამივეს ოქროს ხელები აქვს - ქარგავენ, ქსოვენ, კერავენ... რასაც ხელს მოჰკიდებენ, ყველაფერი გამოსდით. ამას ბავშვობიდან ვუყურებდი და მეც გამიჩნდა სურვილი, ქარგვა მესწავლა. ძალიან მარტივად ვითვისებდი ყველაფერს, რითიც დავინტერესდებოდი. 3 წლის წინ, ძალიან მოულოდნელად მივიღე გადაწყვეტილება, ჩემი სამოსის ხაზი გამეკეთებინა, რადგან სულ ვიკერავდი ტანსაცმელს ჩემთვის და ბევრ კომპლიმენტსაც ვიღებდი. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

- რატომ - „ნანა ქართველი“?

- ფსევდონიმს რაც შეეხება, პირველივე გაფიქრებაზე მომივიდა გონებაში „ნანა ქართველი“. ალბათ იმიტომ, რომ მაქვს თანამედროვე სამოსი ქართული, ნაციონალური ელემენტებით. ასე რომ, ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია ამ საკითხთან დაკავშირებით.

- მზა ტანსაცმელს ყიდით თუ შეკვეთებზე მუშაობთ?

- სამოსი ინდივიდუალურად იკერება, შეკვეთებს კი ონლაინ ვიღებ. ვფიქრობ, უკვე დროა, საქმიანობა გავაფართოო და მზა სამოსიც მქონდეს, რადგან დიდი მოთხოვნაა.

- რა არის ყველაზე პრიორიტეტული თქვენს საქმიანობაში?

- რა თქმა უნდა, ხარისხი.

- თქვენი ფოტოსურათები თურქულ ჟურნალებში დაიბეჭდა, რა იყო ამის მიზეზი და რა მიზანს ემსახურებოდა?

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს მეგობარი ტორბენ რავნი ისევ ჩვენთანაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში რამდენიმე დღეა იმყოფება დანიელი ბიზნესმენი ტორბენ რავნი. ეს არ არის მისი პირველი ვიზიტი საქართველოში. ყოველ ჯერზე, ერთ საღამოს, ის თავისთან ეპატიჟება მეგობრებს, ვისთანაც ურთიერთობა აქვს როგორც აქ, ისე თავის ქვეყანაში. ამჯერადაც ასე იყო. მე ბატონ თამაზ ნიკოლაიშვილის „შუამავლობით“ აღმოვჩნდი შეკრებაზე, რომელზეც, ქართველებთან ერთად, დანიელი და თურქი სტუმრები იმყოფებოდნენ.

ტორბენ რავნი სპეციალობით მეტყევეა. ორი წელია, პენსიაზე გავიდა. საქართველოში პირველად 2005 წელს ჩამოვიდა, ამბროლაურსა და ბაკურიანში გირჩები რომ ენახა. ის საშობაო ნაძვის ხეების სპეციალისტია და ცხოვრების 40 წელი სწორედ ამ საქმიანობას მიუძღვნა. მას ნაძვის გირჩისგან გამოჰყავს საუკეთესო ჯიში და საკმაოდ დიდი მეურნეობაც აქვს. ყოველწლიურად მის კომპანიას გასაყიდად 25 ათასი ნაძვი გამოჰყავდა

ბატონი ტორბენი შეკრებილთ მიესალმა და თქვა:

- ჩვენი სურვილია, გავაფართოოთ მეგობართა წრე და არეალი. საქართველოს გარდა, ვიყავით უკრაინაში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში. მეზობელ ქვეყნებში მოგზაურობა, პირადი კონტაქტები უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს მათ შესახებ. დღეს ჩვენს შეხვედრას ესწრება 16 დანიელი, საქართველოს ძალიან კარგი მეგობარი. აქ მყოფ ქართველთაგან ბევრი უკვე იყო დანიაში, ბევრიც - არა, მაგრამ მათ აქვთ კარგი ურთიერთობა როგორც ჩემთან, ისე დანიასთან. ყველას გეპატიჟებით ალაფურშეტზე. მართალია, ეს არ არის თქვენი ტრადიციული სუფრა, მაგრამ, ვფიქრობ, თავად ეს შეხვედრა იქნება სასიამოვნო, - აღნიშნა მან. შემდეგ თითოეულ მოწვეულ სტუმარს პირადად მიესალმა, ვისაც არ იცნობდა, გაეცნო. შესრულდა რამდენიმე მუსიკალური ნომერი.

დანიელ სტუმარს (ამ შემთხვევაში ჩვენს მასპინძელს) რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- ბატონო ტორბენ, საქართველოდან მიგაქვთ გირჩები და გამოგყავთ ნაძვები, ანუ ქართული კარგი ჯიშია?

- ცნობილი ფაქტია და ამას სხვა კომპანიებიც აღნიშნავენ, რომ საუკეთესო ნაძვი ქართული გირჩისგან იზრდება. გირჩების შემოტანა საშობაო ნაძვის ხეების გასამრავლებლად შეიძლება თურქეთიდან, ასევე რუსეთიდან, მაგრამ ყველაზე კარგი არის ქართული წარმოშობის.



- პირველად როგორ აღმოჩნდით საქართველოში?

- ჩემმა და სხვა კომპანიებმა, რომლებთანაც ვთანამშრომლობდით, 2005 წელს მიგვიწვიეს ტურზე საქართველოში. კომპანიების წარმომადგენლები მანამდეც, საბჭოთა კავშირის დროს, ჩამოდიოდნენ საქართველოში, მუშაობდნენ. ჩამოსვლისთანავე შემიყვარდა თქვენი ქვეყანა. პირველად ჩემი ჩამოსვლის მიზანი საუკეთესო ხეების მოპოვება იყო, რომელთაც გირჩიც, შესაბამისად, კარგი ექნებოდათ.

- კიდევ რა იყო ისეთი, რამაც მოგხიბლათ?

- საქართველო ძალიან კარგი ქვეყანაა, სადაც ძალიან ბევრ კარგ ადამიანს შევხვდი, შევიძინე ბევრი მეგობარი. არაჩვეულებრივი ბუნება გაქვთ, ეს არის ფანტასტიკური ქვეყანა, რომელსაც სჭირდება მეტი მეგობარი დასავლეთში, რადგან ისიც ვიცოდი, რომ რუსეთი არის თქვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი საფრთხე. როცა დანიაში დავბრუნდი, შევხვდი ადამიანებს, რომლებსაც იგივე ინტერესები აქვთ, რაც მე. ჩვენი ურთიერთობების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის თქვენს თანაქალაქელ ირინა სურმანიძეს. როცა თანამოაზრეები შევკრიბეთ, რომელსაც ირინაც ესწრებოდა, დავაარსეთ ერთობლივი, ასე ვთქვათ, თანამოაზრეთა, მეგობრების ორგანიზაცია 2009 წლის იანვარში - რამდენიმე თვის შემდეგ აგვისტოს ომიდან. მისი პირველი აქტივობა იყო ჰუმანიტარული ტვირთის გამოგზავნა თქვენთან - ტანსაცმელი, სამედიცინო, სასკოლო ინვენტარი. ჩვენი სურვილი იყო დანიაში საქართველოზე ცნობადობის ამაღლება. ერთ-ერთი აქტივობა ამ მიმართულებით იყო ქართული ფოლკლორი. ჩვენ დავუკავშირდით ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის გოგონათა ვოკალურ ანსამბლს, სწორედ მათ ჰქონდათ პირველი ვიზიტი ჩვენთან. ანსამბლს თან ახლდა ბატონი თამაზ ნიკოლაიშვილი, მეორე ვიზიტის დროს კი მამუკა თამაზაშვილი. ჩვენ არაერთი წლის განმავლობაში ვფიქრობდით და ვწუხდით, რომ დანიას საქართველოში არ ჰქონდა საელჩო. საერთოდ, დანიის პოლიტიკაა, საელჩო გახსნას მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ვაჭრობს. თუმცა ჩვენ ეს ვერ გაგვაჩერებდა, ხუთი წლის წინ „დავაარსეთ“ დანიის საელჩო ირინა სურმანიძის სახლში - გონიოში. დღეს ირინას დედა დანიური დროშით მოვიდა ამ ღონისძიებაზე. მინდა გითხრათ, რომ დანიამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში გახსნას საელჩო, რაც ძალიან გვახარებს. ეს იქნება საელჩო კავკასიაში, რომელიც დაფარავს სომხეთსაც.

- ბატონო ტორბენ, ალბათ, ბევრი მეგობარი გყავთ საქართველოში...

- ძალიან ბევრი. სხვათა შორის, მათი უმრავლესობა აჭარაშია, თუმცა ასევე გვყავს თბილისში, საგურამოში, დევნილთა დასახლებებში. ჩვენი ურთიერთობის ერთ-ერთი მიმართულება სტუდენტთა მხარდაჭერაა. ვეხმარებით ახალგაზრდა ქართველ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს თუ დანიის უნივერსიტეტებში.

- ბატონო ტორბენ, ძალიან მიხარია, საქართველოს ასეთი გულშემატკივარი მეც რომ გაგიცანით. მადლობა ინტერვიუსთვის.

- მადლობა, რომ დაინტერესდით.

ჩვენი თანაქალაქელი მუსიკისმცოდნე, პიანისტი თამაზ ნიკოლაიშვილი 2009 წლიდან იცნობს ბატონ ტორბენს ირინა სურმანიძის დახმარებით.

- როცა გავიცანი, ის დაინტერესებული იყო ქართული ჯიშის ნაძვით, მაგრამ ქართული ფოლკლორი რომ მოისმინა, აღფრთოვანებული დარჩა და გადაწყვიტა, ფოლკლორითაც გაეცნო დანიელებისთვის საქართველო. დანიაში მიგვიწვია და მგზავრობა, იქ ცხოვრება, კვებისა თუ ექსკურსიების ხარჯები თავად დააფინანსა. ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის 5 მომღერალთან ერთად ჩავფრინდით დანიის სამხრეთ ნაწილში. დავბინავდით შესანიშნავ სახლში, არაჩვეულებრივ ადამიანთან - ტორბენის მეგობარსა და საზოგადოების წევრთან. მას ჰქონდა უზარმაზარი პურის ყანა, ჰყავდა უმრავი საქონელი. ბატონმა ტორბენმა მათი საზოგადოების კიდევ ერთ წევრთან წაგვიყვანა და გვიჩვენა ღორების საუკეთესოდ მოწყობილი ფერმა. რაც მთავარია, იყო შეხვედრები მერიაში. ვიცე-მერმა აგვიხსნა მერიის მუშაობის სისტემა, წახალისების ფორმები. ათამდე კონცერტი ჩავატარეთ, ჩვენი გოგონები, ძირითადად, ეკლესიებში ასრულებდნენ საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს. გერმანიის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში ღია ესტრადაზეც გამოვიდნენ განსხვავებული პროგრამით. სასიხარულო ის იყო, რომ ქართული სიმღერების გაგონებისთანავე ჩვენთან მოვიდნენ იქ მცხოვრები ქართველები, რომელთაგან ზოგი სწავლობდა, ზოგიც მუშაობდა. ეს იყო ამაღელვებელი შეხვედრა. დავათვალიერეთ ქართული გირჩებიდან გამოყვანილი ნაძვის ხეები, რომლებიც ერთი ზომისა და სიმაღლისაა. ტორბენი ძალიანაა შეყვარებული საქართველოსა და ქართველებზე. აქ მარტო აღარ ჩამოდის, 15-16 დანიელი მაინც ჩამოჰყავს და აცნობს მათ ქართულ კულტურას, ეკლესიებს. თავად ტორბენს მოვლილი აქვს მთელი საქართველო და ზოგიერთ ქართველზე მეტადაც კი იცნობს ჩვენს ქვეყანას, - გვითხრა თამაზ ნიკოლაიშვილმა.

დანიელი სტუმარი საქართველოდან 16 აგვისტოს მიემგზავრება.

„მთავარი შედეგია, ამიტომ არასოდეს ვიშურებ ენერგიას“

მე-5 გვერდიდან

- დამიკავშირდნენ სოციალური ქსელის მეშვეობით. სხვათა შორის, ამ ქვეყნიდან არაერთი შემოთავაზება მაქვს, რატომ - არ ვიცი. ძალიან რთულია გადაწყვეტილების მიღება, როცა ოჯახი გყავს და შენი საქმე გაქვს. პირველ ადგილზე ჩემთვის ოჯახია. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც მივიღებ, უნდა წაადგეს ოჯახს. აქედან გამომდინარე, ბევრი კრიტერიუმი უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ჩემი კარიერა სხვა ქვეყანაში გაგრძელდეს, მაგრამ გამორიცხვით, რა თქმა უნდა, არაფერს გამოვრიცხავ.

- ლაშა ღლონტის კლიპშიც გადაგიღეს, რომელიც აჭარას ეძღვნება. რა ემოციები დაგეუფლათ?

- დამიკავშირდნენ და დიდი სიხარულით დავთანხმდი, რადგან ძალიან მიყვარს ლაშას სიმღერები. საინტერესო იყო გადაღების პროცესი.

- ის, რაც ყველაზე მეტად გაბედნიერებთ...

- ძალიან ბევრი რამ მაბედნიერებს, ჩემი შვილის უბრალო ღიმილიც კი, ოჯახის წევრების კარგად და ჯანმრთელად ყოფნა, ჩემი მოკეთეების წარმატება და ა. შ. ვცდილობ, დავტკბე თითოეული დღით, წუთით. ცხოვრება ხომ ისედაც ხანმოკლეა.

- ყველაფერთან ერთად, ფოტომოდელობაც შეითავსეთ. ამ ამპლუაში როგორ გრძნობთ თავს?

- როგორც - თევზი წყალში. გადაღებების დროს, არ აქვს მნიშვნელობა, ეს ფოტოსესიაა თუ ვიდეოგადაღება, ვერ ვგრძნობ სიცივეს, სიცხეს, დაღლას, შიმშილს და ა. შ. მთავარი შედეგია, ამიტომ არასოდეს ვიშურებ ძალას.

- ხართ დედა, მეუღლე. როგორ უთავსებთ თქვენს საქმიანობას და ოჯახს ერთმანეთს?

- თუ სწორად ვისწავლით დროის გადანაწილებას, ყველაფერს მოვასწრებთ. ჩემთვის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემს შვილს და მეუღლეს არ მოაკლდეს ჩემგან ყურადღება, დანარჩენს ამ ძირითად საქმიანობას ვუთავსებ. ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ დიდი ოჯახის თითოეულ წევრს გადავუხდი მადლობას, ასე რომ მგულშემატკივრობენ და გვერდით მიდგანან. ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი მოტივაცია. მე და ჩემი მეუღლე მაქსიმალურად ვცდილობთ, ოჯახის წევრები, პირველ რიგში, კარგი ადამიანობით გავახაროთ. ეს მინიმუმია, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ.

- თქვენ ერთ-ერთ საუკეთესო წყვილად ითვლებით. როგორია თქვენი სიყვარულის ისტორია?

- ის უკვე 15 წელს ითვლის. 16 წლის ვიყავი, როცა ლაშა გასტროლზე კაბადოკიაში გავიცანი, ჩვენს ანსამბლთან ერთად აღმოჩნდა იქ. ლაშა 18 წლის იყო. 4 წელი შეყვარებულის სტატუსით ვიყავით, მეხუთე წელს კი ამ ურთიერთობას, ჩვენი მშობლების თანხმობით, ოფიციალური სახე მივეცით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არაჩვეულებრივი არჩევანი გავაკეთე და გამიმართლა, რომ ასეთი ღირსეული მეუღლე მყავს. ყველა წამოწყებაში გვერდით მიდგას, მამხნევებს და რჩევას მაძლევს. ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ის იმდენად იდეალური მამაა, რომ ხშირად მაკვირვებს კიდეც.

- რა გეგმები გაქვთ?

- წინასწარ, უკვე დიდი ხანია, არაფერს ვგეგმავ. მოლოდინს არასოდეს ვიქმნი. ვცდილობ, ვიყო ოპტიმისტი. ძლიერად დავხვდე ყველა პრობლემას, დავტკბე ყველა მიღწევით თუ წარმატებით. ცხოვრება სიურპრიზებით სავსეა. პირველ რიგში, ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, დანარჩენი ყველაფერი მოგვარდება. მთავარია, ეს გავიაზროთ და ყველა სიძნელეს გადავლახავთ.

სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპული ან მძიმედ დაშავებული ჯარისკაცების შვილები სასწავლო გრანტით ისარგებლებენ

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს თავდაცვის ძალებში მოსამსახურე პირები, მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები, დაჭრილი და დაშავებული სამხედროები და მათი ოჯახის წევრები საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სამედიცინო დაწესებულებებში სხვადასხვა პრივილეგიითა და შეღავათით სარგებლობენ.

როგორც თავდაცვის უწყება განმარტავს, ახალი სასწავლო წლიდან თავდაცვის უწყებაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული სამხედროების შვილების გარდა, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპული ან მძიმედ დაშავებული ჯარისკაცების შვილები, ასევე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვეტერანები ან მათი შვილები სასწავლო გრანტით ისარგებლებენ. სასწავლო გრანტით დაფინანსების მიღების შესაძლებლობა ექნებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტებს. სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების პროექტზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიცირებული სიახლე, მთავრობის დადგენილებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერის საფუძველზე, უკვე მიღებულია და 2022-2023 სასწავლო წლიდან შევა ძალაში.

„ჯარისკაცზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრად მუშაობის დროს მიღებული გადაწყვეტილებით, სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სწავლის საფასურის 50%-იან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სწავლის მინიმალური საფასურის - 2250 ლარის ნახევრის დაფარვას. გარდა ამისა, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მათ სემესტრულად 750 ლარის ოდენობით „მინისტრის სტიპენდია“ ენიშნებათ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია!

ნინო ბაციაშვილი მცირე ოქროს მედალს დაეუფლა!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში დამთავრდა რიგით 44-ე საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელზეც საქართველოს ქალთა ნაკრებმა თავი ისახელა

ბოლო ტურში ჩვენმა ნაკრებმა - 3:1 დაამარცხა აზერბაიჯანელი მოჭადრაკეები და უკრაინის გუნდთან ერთად, პირველი-მეორე ადგილები გაინაწილა. უკეთესი მაჩვენებლით ოქროს მედლები უკრაინელებს ერგოთ.

ჩვენმა მოჭადრაკეებმა თავიდანვე კარგად დაიწყეს ოლიმპიადა. პირველივე ტურში მათ ერაყის გუნდი მშრალი ანგარიშით დაამარცხეს.

ძალიან მძიმე გამოდგა ტური პოლონელებთან ოლიმპიადის ფინიშამდე ერთი ტურით ადრე. ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ჩვენი გუნდი მარცხს ბათუმელმა ნინო ბაციაშვილმა გადარჩინა ხუთსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოგებული პარტიით.

ჩვენმა ქალმა მოჭადრაკეებმა ანგარიშით - 3,5:0,5 დაამარცხეს სომეხი მოჭადრაკეები, ჩეხეთის გუნდს მინიმალური ანგარიშით, ხოლო ინდოეთის ნაკრებს - 3:1 მოუგეს.

აუცილებლად უნდა გამოვყოთ ბათუმელი საერთაშორისო დიდოსტატის ნინო ბაციაშვილის ბრწყინვალე შედეგი, მან მეორე ინდივიდუალურ დაფაზე შესანიშნავად ითამაშა - ფინიშზე, ბოლო ოთხ ტურში, ზედიზედ ოთხი გამარჯვება იზეიმა, თანაც გადამწყვეტ პარტიებში და ოლიმპიადის მცირე ოქროს მედალს დაეუფლა.

ქალთა შორის ოლიმპიადაში სხვადასხვა ქვეყნის 162 ეროვნული ნაკრები მონაწილეობდა.

მსოფლიო საჭადრაკო ფორუმზე საქართველოს ღირსებას იცავდნენ ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, სალომე მელია.

ფიდეს მიწვევით მსაჯთა შორის იყო „ა“ კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი (IA, WFM, FI) მარიკა ჯაფარიძე (საქართველო, ბათუმი).

ქართველ მოჭადრაკე ქალებს წარმატება მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა:

„საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები 44-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია! ინდოეთის ქალაქ ჩენაიში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. ვულოცავ ჩვენს საამაყო ქალბატონებს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ!“, - ნათქვამია მთავრობის მეთაურის განცხადებაში.

ავტომფლობელისთვის ფინანსურად მომგებიანი აღარ იქნება...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ტექინსპექტირების ყოველ შემდგომ გაუვლელობაზე ჯარიმის ოდენობა შესაძლოა, გაიზარდოს. სავარაუდოდ, ფასიანი გახდება განმეორებითი ტექნიკური შემოწმებაც

როგორც ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის თავმჯდომარე გიორგი შიოლაშვილმა განაცხადა, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უკვე შესულია და მისი განხილვა შემოდგომაზე დაიწყება. მისივე განმარტებით, მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ტექინსპექტირების ცენტრის მიერ დახარვეზების შემთხვევაში, პირველადი ჯარიმის თანხა 50 ლარი რჩება, თუმცა ყოველი შემდგომი დაჯარიმებისთვის თანხა გაიზრდება 150 ლარამდე, შემდეგ - 300 ლარამდე და ა. შ.

„როგორც მოგახსენეთ, ჯარიმის ოდენობა დაბალია. ხშირ შემთხვევაში ავტომფლობელს ურჩევნია, ჯარიმის გადახდით გადაადგილდებოდეს გზებზე და ავტომობილი ტექინსპექტირებაზე არ გაატაროს. ჯარიმის ოდენობა ფიქსირებული 50 ლარია და ავტომფლობელი რამდენჯერმე რომც დაჯარიმდეს, მაინც იგივე თანხას იხდის. იმ კანონპროექტში, რომელიც პარლამენტშია შესული და შემოდგომაზე განიხილება, პირველადი დაჯარიმებისთვის 50 ლარი რჩება, თუმცა ყოველი შემდგომი დაჯარიმებისთვის თანხა იზრდება, ხდება 150 ლარი, შემდეგ - 300 ლარი და ა. შ. შესაბამისად, ავტომფლობელისთვის ფინანსურად მომგებიანი აღარ იქნება, გზებზე ჯარიმების გადახდით იმოძრაოს და ტექინსპექტირება არ გაიაროს. ვფიქრობთ, სისტემას ეს ძალიან წაადგება. ჩვენი კავშირი აქტიურად მუშაობს სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორთან, ყველანი ვთანხმდებით, რომ ცვლილებები გარდაუვალია რეფორმის განვითარებისთვის“, - განაცხადა შიოლაშვილმა. რაც შეეხება განმეორებითი ინსპექტირების შესაძლო გაფასიანებას, მისი თქმით, ტექინსპექტირების ცენტრებს თავიანთი დროის 35-40%-ის განმავლობაში განმეორებითი ტექინსპექტირების სერვისის უფასოდ განხორციელება უწევთ, რაც მათთვის ფინანსურად საკმაოდ დამაზიანებელია.

„დღეის მდგომარეობით, განმეორებითი ინსპექტირება არის უფასო, რაც რეფორმის საწყისი ეტაპისთვის, ვფიქრობ, სწორად იყო დაგეგმილი და ამ მხრივ აღნიშნული შეღავათი ნამდვილად საჭირო იყო. არსებულმა რეალობამ აჩვენა, რომ ტექინსპექტირების ცენტრებს თავიანთი დროის 35-40%-ის განმავლობაში განმეორებითი ტექინსპექტირების სერვისის უფასოდ განხორციელება უწევთ, რაც მათთვის ფინანსურად საკმაოდ დამაზიანებელია. ჩვენ მიერ მოძიებული იქნა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ევროკავშირის პრაქტიკა და განმეორებითი ინსპექტირება საფასურის გარეშე არსად არის. აქედან გამომდინარე, ნამდვილად დგას საჭიროება და იგეგმება, რომ განმეორებითი ინსპექტირება ფასიანი გახდეს. ამასთან, გარკვეული საფასურის შემოღებით, ტექინსპექტირების ცენტრებს ექნებათ შესაძლებლობა, თანამშრომლებს მეტი მოტივაცია მისცენ და ანაზღაურება გაუზარდონ. საქართველოში პირველადი ტექინსპექტირების საფასური 60 ლარია და სწორედ ამის მიხედვით უნდა დადგინდეს განმეორებითის ღირებულებაც. მიღებული პრაქტიკაა, რომ განმეორებითი ინსპექტირების თანხა იყოს პირველადი საფასურის დაახლოებით 35-40%. იმ ფონზე, რომ წლიდან წლამდე ავტომფლობელი უფრო მომზადებული მიდის ტექინსპექტირების ცენტრებში, განმეორებით ინსპექტირების პროცენტი ინარჩუნებს კლების ტენდენციას. ვფიქრობ, შემოდგომაზე განმეორებით ინსპექტირებაზე საფასურის შემოღების საკითხი განხილვის საგანი გახდება“, - აღნიშნა შიოლაშვილმა.

გმირებს პატივი მიაგეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედაში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულებს პატივი მიაგეს. მერისელი ფრიდონ თურმანიძის საფლავი მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, თვითმმართველობის, საზოგადოების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს.

უმცროსი სერჟანტი ფრიდონ თურმანიძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. მისი სახელი მინიჭებული აქვს მერისის საჯარო სკოლას. ფრიდონ თურმანიძე 2008 წლის 10 აგვისტოს, სოფელ ყელქცეულში, 28 წლის ასაკში დაიღუპა. მას მშობლები, მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

- ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ ის გმირები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ქვეყანა და დამოუკიდებლობა შეგვინარჩუნეს, - თქვა როლანდ ბერიძემ.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ჯუმბერ დიმიტრაძემ, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა აგვისტოს ომის გმირების თეიმურაზ ბერიძის, ასლან შაინიძის, ომარ ასლანიძის, მერაბ ჭელიძისა და ნადიმ ართმელაძის ხსოვნას პატივი მიაგეს, საფლავები და მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

- ყველა ქართველის ვალია, უკვდავყოს აგვისტოს ომის გმირების დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. მათ საფლავებზე მისვლა, ოჯახების თანადგომა ყველას გვაძლიერებს, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების წინ შუახევიდან ქართულ ჯარში 900-მდე ჭაბუკი მსახურობდა. მათგან ორმა სიცოცხლე ბრძოლის ველზე დატოვა.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირების მემორიალებია გაკეთებული ზამლეთში, ხიჭაურსა და ნაჭივრზე (სოფელ ოლადაურის ტერიტორია). შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ მემორიალები გვირგვინებით შეამკეს, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას და კიდევ ერთხელ გაიხსენეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირები.

2008 წლის აგვისტოს ომში აჭარიდან 16 ჯარისკაცი დაიღუპა, მათ შორის შუახევიდან - ბარათაულელი ამირან მამალაძე და ბუთურაულელი იაგო მიქელაძე.

ხალხმრავლობა იყო ამირან მამალაძის საფლავთან. მისი გმირობისა და თავდადების ცალკეული ეპიზოდები გაიხსენეს ომარ ტაკიძემ, როსტომ ლორთქიფანიძემ, ამირანის თანამებრძოლმა, ქართული ჯარის ოფიცერმა კობა ჯელაძემ, ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორმა ბესიკ ციცაგმა, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ლიკა დიასამიძემ, ამირანის მამამ გურამ მამალაძემ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები იყვნენ ბუთურაულში და პატივი მიაგეს იაგო მიქელაძის ხსოვნას.

- საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეს აგვისტოს ომის გმირები და პატივს მიაგებდეს მათ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

განცხადება

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს.
ტელ: 27 48 93.

დირექტორი მამუკა ბერიძე	გამომცემები რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი	რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. (R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია» პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი» მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3.	მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵃ ტელ: 27-13-31 აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/08/22, 21 ⁴⁰ სთ.

«მომღიმარ ქართველზე უკეთესი არავინ მეგულება»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია მხატვარი, მწერალი, მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე

- დავიბადე ბათუმში, ოთარ ერგემლიძისა და ვალენტინა კოპალეიშვილის ოჯახში. დედა კირნათის სკოლა-ინტერნატის პედაგოგი იყო. მეც იქ ვსწავლობდი. დედამ ბათუმში სამუშაო გამონახა თუ არა, მეც ახლანდელ №1 საჯარო სკოლაში გადმომიყვანა. პედაგოგების საყვარელი მოსწავლე ვიყავი. მიტაცებდა მუსიკა, ვეტრფოდი პოეზიას. მე-5 კლასში ვიყავი, პირველად რომ მოვისმინე ჯგუფ «ბითლზების» ჩანაწერები. მშობლებს გიტარის შეძენა ვთხოვე. შემისრულეს. ჩემი ლექსის შემფასებელი და გიტარაზე შესრულებული მელოდიების პირველი მსმენელი ბებია თამარ ქვარიანი იყო. კარგი დახმარება გამიწია თვითმასწავლებლის სახელმძღვანელომ. უფროსი თაობის ბათუმელებს, კულტურის ქომაგებს კარგად ახსოვთ სოსო ბარდანაშვილი. მე რომ მუსიკის ანბანს ვეჭიდებოდი, ბატონი სოსო თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი იყო. იგი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. მისი ხელდასმით, მუსიკალური ჰარმონიის საფუძვლებს ვეუფლებოდი. ხშირად ლექსებსაც მისწორებდა. 1973 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გავხდი. მაესტრო არც მაშინ მტოვებდა ყურადღების გარეშე. იმ დროს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელთან თვითმოქმედი ანსამბლი მოქმედებდა. მუსიკალური მონაცემების წყალობით, ანსამბლში მიმიწვიეს, ბას-გიტარაზე ვუკრავდი, საკუთარ სიმღერებს ვასრულებდი. ვიდრე ბატონი სოსო ისრაელში საცხოვრებლად წავიდოდა, ყურადღების ცენტრში ვიყავი. აკადემიის ანსამბლში ჩემთან ერთად იყვნენ შემდეგში ცნობილი ხელოვანები ზურაბ მანაგაძე, ავთანდილ შარვაძე, ოთარ იაგორაშვილი, ავთანდილ ფერაძე.

- რობერტ ბარძიმაშვილთან რა ურთიერთობა გქონდათ?

- მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა რობერტ ბარძიმაშვილის ანსამბლი «ვია-75» ჩამოყალიბდა. რობერტს როკ-ოპერის შექმნა სურდა. მუსიკის დაწერა სოსო ბარდანაშვილს ანდო, ლიბრეტოზე სამუშაოდ მე მიმიწვია.

- არჩეულ პროფესიასთან რა იყო თანხვედრაში, თქვენი მუსიკით გატაცება?

- აკადემიის კურსი ხუთწლიანი იყო. ვალდებული ვიყავი, ფუნჯი ხელში მჭეროდა. რამდენიმე ახალგაზრდულ გამოფენაზე წარვადგინე ნახატები და მოწონებაც დავიმსახურე. ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტში მუშაობა დავიწყე, თუმცა «ვია-75« არ მიმიტოვებია. 1980 წელს ანსამბლმა წარადგინა პროგრამა «რეტრო», რომელშიც ჩემი ავტორობით რამდენიმე სიმღერა (მუსიკა ან ტექსტი) შევიდა - «პირველი სიყვარული», «ბაკურიანი», «ლიანები», «სადღაც», «ფოთოლცვენა», «როცა თოვლი მოვა».

- საქართველოს ტელევიზიის რედაქტორადაც მიგიწვიეს?

- დიახ, 1982 წლიდან საქართველოს ტელევიზიის რედაქტორი ვიყავი. სხვადასხვა გადაცემის სცენარისტად ვმუშაობდი - «რეტროვიზია», «მეშვიდე ცა», «რადიო სინგი», «ცოცხალი პოკერი», «რეტრომობილი». შოუებშიც ვმონაწილეობდი.

- «ვია-75»-ის გარდა, ვინ ასრულებდა თქვენს სიმღერებს?

- წელს ბეშუმში, «შუამთობის» დღესასწაულზე, თბილისიდან მოწვეული მომღერლები ასრულებდნენ ჩემს სიმღერებს. ადრე მათ მღეროდნენ მერაბ სეფაშვილი, ვალერი ლომსაძე, რობერტ ბარძიმაშვილი, «ჯორჯიაში», «პირამიდაში», «ბარძიმში», «სეფას ბიჭებში» - მამუკა ონაშვილი, კაკო ვაშალომიძე, ზურაბ კობეშავიძე, ირმა სოხაძე, ქეთა თოფურია, ნეკა სებისკვერაძე, თემურ ბოჯგუა, ნუგზარ კვაშალი, ზურაბ მანაგაძე, მიხეილ ზაქარიაშვილი, მამუკა მესხი, ბესიკ კალანდაძე, თემურ რევაზიშვილი, კობა ბეჟიტაშვილი.

- სოსო ბერდანაშვილის გარდა, როგორც ლექსების ავტორი, კიდევ რომელ კომპოზიტორებთან თანამშრომლობდით?

- გიორგი ცაბაძის უკანასკნელი სიმღერის «ქვეყნად სიყვარული მეფობს» ლექსის ავტორი ვარ. მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა მქონდა სხვა კომპოზიტორებთანაც, კერძოდ, ალექსანდრე ბასილაიასთან, ზურაბ მანაგაძესთან, ვაჟა დურგლიშვილთან, ზურაბ ჩინჩალაძესთან.

- გაზეთი «აჭარა» თქვენს ლექსებს ბეჭდავდა, გამომცემლობა «აჭარა» - გამოსცემდა...

- სამწუხაროდ, საუკუნოვან გაზეთ «აჭარასთან» ხშირი წვდომა აღარ მაქვს. მეც გული მწყდება, «სტალინის გამზირზე» არსებული შენობა ძალით რომ დაგატოვებინეს. მრავალგზის მინახავს ვიტრინასთან მდგომი ადამიანები, საგაზეთო სტატიებს რომ ეცნობოდნენ. კარგია, შემოქმედებითი ჯგუფი ამ გაზეთს რომ პატრონობს. 1987 წელს გამომცემლობა «აჭარამ» ჩემი ლექსებისა და რამდენიმე სიმღერის ნოტების კრებული გამოსცა. ამ აღიარებას ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთი მოჰყვა - 1988 წლიდან მხატვართა კავშირის წევრი ვარ.

- 2008 წელს გამოცემული თქვენი რომანი «მხატვარი და მარგარიტა ანუ მიწისძვრა ფიროსმანის ქუჩაზე» ავტოგრაფიულიცაა...

- ორი რომანის ავტორი ვარ. თქვენ მიერ დასახელებულს 2012 წელს მეორე - «ისევ საბჭოთა კავშირში» მოჰყვა. ორივეში ჩემი თვალით დანახული რეალობაა.

- ახალ რომანზე ხომ არ ფიქრობთ?

- გარკვეული მონახაზი მაქვს. დროს ვანდოთ ყველაფერი. ხომ იცით, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. წლების განმავლობაში დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ამას ძველი ურთიერთობებიც ემატება. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ჩემი ბენეფისი იმართებოდა, გამოდიოდა გრამფირფიტები. 1998, 1999 და 2009 წლებში კომპაქტდისკები გამოვეცი. მოსკოვში, კიევში, თბილისში მრავალგზის გაიმართა ჩემი პერსონალური გამოფენა. ვმუშაობდი ორენოვან მიუზიკლზე - «ისევ საბჭოთა კავშირში».

- მრავალი წარმატებული ხელოვანის მსგავსად, პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოჩნდით...

- მეშვიდე მოწვევის საპარლამენტო არჩევნებზე «ლეიბორისტულმა პარტიამ» სიის მეხუთე ნომრად წარმადგინა. 2002-2012 წლებში პარლამენტის წევრი ვიყავი, მაგრამ შემოქმედებითი საქმიანობა ერთი დღითაც არ მიმიტოვებია.

- მრავალი ჯილდოს, პრემიისა და პრიზის მფლობელი ხართ. უმთავრესი რა იყო?

- 2000 წლიდან უფრო მეტად წარმოვჩნდი. ჩემს საქმიანობას დადებითად აფასებდნენ ქვეყნის მასშტაბით პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე, რაც სტიმულს მაძლევდა. ესეც ერთგვარი მოტივაცია იყო, როცა 2000 წელს გავიმარჯვე კონკურსში «წლის საუკეთესო სიმღერა». 2002 წელს კონკურსში «ოქროს იერუშალაიმი» პირველი პრემია ავიღე. 2006 წელს «ყველა თაობის საუკეთესო მომღერლის» კონკურსში გავიმარჯვე. ვარ კონკურსის «წლის საუკეთესო ავტორ-შემსრულებელი» გამარჯვებული. ეს 2008 წელს იყო.

- ბეშუმში გამართულ «შუამთობაზე» ერთხელ კიდევ წარსდექით მაყურებლის წინაშე. რა შთაბეჭდილება დატოვა ამ დღესასწაულმა?

- «შუამთობა», «ტბელობა», «კოლხობა», «ბათუმქალაქობა» და აჭარაში არსებული სხვა ხალხური დღესასწაულები ჩემთვის უცხო არაა. არ დამავიწყდება თაგინურზე გამართული «შუამთობა». ჭვანელი ვალერიან ქარცივაძე იმ დროს დამიმეგობრდა. მესამედ რომ მოვედი ბეშუმში, ეს დღესასწაულის და მისი შემოქმედი ადამიანებისადმი პატივისცემის დასტურია. თიკა ფაცაციას, სოფო ხალვაშის, ანსამბლ «ფორტეს» და სხვების მსგავსად, საზოგადოება მეც ოვაციით შემხვდა. გულით მიხაროდა, რომ თაყვანისმცემლები ისევ მყოლია. ადამიანები მოდიოდნენ, მეფერებოდნენ, ფოტოების გადაღებას მთხოვდნენ. ასაკი არ გვანებივრებს, მაგრამ თავს ძალა უნდა დავატანოთ, იქ დავდგეთ, სადაც საზოგადოებას ვჭირდებით.

- განა ყოველთვის გამოვა?

- თუ მოინდომებ, საწადელს მიაღწევ, ოღონდ წინამორბედებად სოსო ბარდანაშვილის, რობერტ ბარძიმაშვილის სადარი ადამიანები უნდა გყავდეს. ის, რაც მათგან მივიღე, ვცდილობ, ახალგაზრდა, დამწყებ მომღერლებს გავუნაწილო. ბუნებით მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ, ხალხის სამსახურში მყოფი. გული მტკივა, რაც ქართველებს 2008 წლის აგვისტოში თავს დაგვატყდა, რაც ახლა უკრაინაში, თუნდაც ახლო აღმოსავლეთში და კორეა-ჩინეთში ხდება. ბოროტი, კაცთმოძულე პოლიტიკოსების ახირებას ადამიანები ეწირებიან. გონს თუ არ მოვეგეთ, ქარცეცხლი თავს ისევ დაგვატყდება. 14 წელია, გარეშე და შინაური მტრები არ გვასვენებენ. სცენიდან თვალს ვავლებდი ფერდობზე მყოფ მომღიმარ ადამიანებს და ენერგია მემატებოდა. ომებმა, არეულობებმა ქართველებს ლამის ღიმილი დაგვაკარგვინა, არადა, მომღიმარ ქართველზე უკეთესი არავინ მეგულება. იმ დღეებს ვნატრობ, როცა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტს რუსთაველზე მოსეირნე, მომღიმარი თბილისელები და მათი სტუმრები მხვდებოდნენ.

- პლანეტაზე მშვიდობის დესპანები ხელოვანები ხართ...

- სიმღერა, ლექსი, თუნდაც კარგი ნახატი ადამიანებს ძალას მატებს. მხატვარ ირაკლი თოიძის ნამუშევარი «დედა სამშობლო გეძახის» მეორე მსოფლიო ომში მამოძრავებელ ძალად იქცა. ქართული სიმღერა, თუნდაც ლექსი, ბრძოლის ველზე მყოფთ აღაფრთოვანებდა. გავიხსენოთ ქართული ფილმები, ისტორიული ნაწარმოებები, რომლებზეც თაობები ვიზრდებოდით პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

- ვის ხელშია ეროვნული კულტურა და ხელოვნება?

- დაუფიქრებლად გეტყვით: საუკეთესო, მოტივირებული ახალგაზრდების ხელში. თუნდაც წლევანდელი «შუამთობა» მოვიშველიოთ. ახალგაზრდა მომღერლებმა არც პოლიტიკოსებს დაუჯერეს და არც ღონისძიების წამყვანებს, აიყოლიეს ახალგაზრდობა. ესაა ხელოვნება, კულტურა, ესაა მომავალი თაობა, რომელსაც მათულხლართები არ აშინებს. მთავარია, მათ როგორ ვუპატრონებთ.

- დაბოლოს, ბათუმი, აჭარა - თქვენს შემოქმედებაში?

- ეს ყველაფერი ჩემი შემოქმედების ბალავარია, ბათუმი, მშობლიური კუთხე, მისი სოფელი და უბანი ჩემთვის უძვირფასესია. ამ ფენომენმა ჩამომიყვანა ბათუმში, ეს ფენომენი მაძლიერებს ყველგან და ყველაფერში. მარტო ის რად ღირს, შენი თაობის ადამიანები ამაგს რომ გიფასებენ. «შუამთობაზე» სიმღერის შესასრულებლად მოწვევა სიამოვნებით მივიღე. მართალი გითხრათ, აქაურობა, ეს ადამიანები მენატრებოდა. ისევ ჩამოვალ, ისევ ვიმღერებ მათ გასამხნევებლად.

გია ყანჩელის ფესტივალის დღიური

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

9 აგვისტოს გამართულ კლასიკური მუსიკის საღამოში, რომელსაც სასტუმრო „ლე მერიდიანეს“ დარბაზმა უმასპინძლა, მონაწილეობდნენ გამორჩეული მუსიკოსები - პიანისტი, პროფესორი, თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი ნინო ჟვანია (საქართველო) და მევიოლინე გრიგორი ამბარცუმიანი (უკრაინა)

მათ ერთად დაუკრეს ბეთჰოვენის მე-5 და მე-7 სავიოლინო სონატა, ბისზე კი შესრულდა ჩვენი უკვდავი კომპოზიტორის გია ყანჩელის რამდენიმე მინიატურა. მუსიკოსებმა ერთად სულ მეორედ დაუკრეს. როგორც ნინო ჟვანიამ გვითხრა, პირველად - „იავნანას სალონში“. მაშინ ახალგაზრდა მევიოლინე კონცერტისთვის პიანისტს ეძებდა და როგორც კი მას დაურეკეს, სიამოვნებით დათანხმდა. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა და მუსიკოსებმა მეორედაც გადაწყვიტეს ერთად გამოსვლა. ბათუმელმა მსმენელმა და ჩვენი ქალაქის სტუმრებმა გულთბილად მიიღო ორივე მუსიკოსი, რომლებიც თავადაც კმაყოფილი დარჩნენ ამ კონცერტით.

- როგორც ჩანს, ერთად კარგად ვუკრავთ და გადავწყვიტეთ, სამომავლოდაც ვითანამშრომლოთ. გრიგორი ახლა გერმანიაში მიემგზავრება, მეც იქ მივდივარ და იმედი გვაქვს, უფლის ნებით, რამდენიმე კონცერტს ერთად გავმართავთ, - გვითხრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ნინო ჟვანიამ.

22 წლის გრიგორი ამბარცუმიანი კიევში დაიბადა და გაიზარდა. ამჟამად კიევის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის მეოთხე კურსზე სწავლობს პროფესორ ოლგა რევნიაკის ხელმძღვანელობით. ამბობს, რომ ბოლო პერიოდში კონცერტებზე დაკვრის მეტი შესაძლებლობა მიეცა, რაშიც უცხოეთში მცხოვრები მისი მეგობრები, კოლეგები ეხმარებიან.

- ორკესტრებთან ერთადაც გამოვდივარ, თუმცა, ძალიან მიყვარს კამერულ კონცერტებზე დაკვრა. საქართველოში მესამე წელია, ჩამოვდივარ. პირველ წელს წინანდლის ფესტივალზე დავუკარი. ბათუმში მეორედ ვარ. პირველად თქვენს ქალაქში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვედი. საერთოდ, ყველა კონცერტის წინ ვღელავ, მაგრამ დღეს რატომღაც უფრო მშვიდად ვიყავი, რაღაც შთაგონებამ ამავსო. აქ მოსულმა საზოგადოებამ შემიქმნა ეს გარემო. სამი დღის წინ ჩამოვედი ბათუმში. უნდა გაგიმხილოთ, რომ ვიწვალე, მაგრამ მაინც შევძელი აქ ჩამოღწევა და ბედნიერი ვარ - ღირდა ამად, - გვითხრა გრიგორი ამბარცუმიანმა, რომელიც კვლავაც გეგმავს ჩვენს ქალაქში ჩამოსვლას.

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს დუეტი შეიკრა. ორივე შესანიშნავი მუსიკოსია, სხვათა შორის, სხვადასხვა მიმართულების. ჩემთვის სიურპრიზი იყო ნინოსთან შეხვედრა, რადგან ამ ფორმით ის არ მომისმენია. წარმატებები მინდა ვუსურვო ორივეს. ვფიქრობ, თუ მომავალში გაგრძელდება მათი ტანდემი, ეს იქნება ერთ-ერთი საინტერესო დუეტი, - თქვა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის პროფესორმა ხათუნა მანაგაძემ.